საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფაქვაა, ფაქტიურებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკარტისიბაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 18 მარტი. 2022 წ. №39 (9377) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

ლეხ კაჩინსკი აფრთხილებდა

ევროპელ ლიდერებს, რომ, თუ წინ არ აღუდგებოდნენ საქართველოსადმი აგრესიას, მომავალში უკრაინისა და სხვა ქვეყნების ჯერი დადგებოდა

გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბათუმში, ახალ ბულვარში პოლონელ კოლეგა მათეუშ მორავიეცკისთან ერთად პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ძეგლი გახსნა.

მთავრობის მეთაურის თქმით, პრეზიდენტი კაჩინსკი აქტიურად უჭერდა მხარს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

„მისი ტრაგიკული, უდროო გარდაცვალება ჩვენმა ხალხმა ისევე განიცადა, როგორც მოძმე პოლონელებმა. ლეხ კაჩინსკის ხსოვნის უკვდავყოფით ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს პატივისცემას, მადლიერებას მისდამი და ამავე დროს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ისტორიულ არჩევანს, ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში. დიდება ჩვენს გმირებს!“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, დავით გურგენიძის კიდევ ერთი აღიარება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის დავით გურგენიძის მხარდაჭერით უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირები აქვს ლიეტუვას რესპუბლიკასთან. უნივერსიტეტში მოქმედებს ლიეტუვური ენის, კულტურისა და განათლების ცენტრი, თანამშრომლობს ლიეტუვას ექვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ეწყობა ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და მუშავდება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები, ფართოვდება გაცვლითი პროგრამები.

2022 წლის 16 თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურგენიძე ლიეტუვას რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიწვევით იმყოფებოდა ვილნიუსში ლიეტუვის დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით. ლიეტუვას რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის დაჯილდოების ცერემონიალი. მისმა აღმატებულება **გიტანას ნაუსედამ** პროფესორ **დავით გურგენიძეს** სახელმწიფო ორდენი — **„დამსახურება ლიეტუვასთვის“** — რაინდის ჯვარი გადასცა, მსოფლიოში ლიეტუვის შესახებ ცნობადობის ამაღლების, ლიეტუვური ენისა და კულტურის ცენტრზე პირადი ზრუნვისათვის და ლიეტუვის და საქართველოს აკადემიური, სამეცნიერო, ახალგაზრდული კავშირების და მეგობრობის ხელშეწყობისათვის.

გილოცავთ, ბატონო დავით!

დღეს უკვე ცხადი და ნათელია, თუ რა თვალსაჩინო სამეცნიერო წარმატებებს აღწევს ტექნიკური უნივერსიტეტი, თქვენი უშუალო მხარდაჭერით უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირები აქვს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ამ ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითია თქვენი, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მიწვევა ლიეტუვას რესპუბლიკაში თვითონ ქვეყნის პრეზიდენტის გიტანას ნაუსედას მიერ, რომელმაც სახელმწიფო ორდენი — „დამსახურება ლიეტუვასთვის“ — რაინდის ჯვარი გადმოგცათ ლიეტუვასა და საქართველოს შორის სამეცნიერო და მეგობრობის ხელშეწყობისთვის.

გილოცავთ, ბატონო დავით, ამ დიდ აღიარებას და გისურვებთ ახალ წარმატებებს როგორც სამეცნიერო-საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

გერჰარტ ბაუმი:

არის შანსი, პუტინი გერმანულ ციხეში მოხვდეს!

8

კიევში მარტივად ვერ გაისეირნებენ რუსები, ჰიტლერის სტალინგრადად იქცევა მათი მცდელობა...

6

გრიგორი ჩხარტიშვილი: (ბორის აკუნინი)

7

არ მინდა, რუსეთი დამარცხდეს. მინდა, პუტინის სახელმწიფო დამარცხდეს!

ელენე აბაშიძე 100 წლისაა!

ეს ღვთის სასწაულია!

5

ირაკლი ღარიბაშვილი: ქართველებს არასოდეს დაგვავიწყდება პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის გმირობის ტოლფასი საქციელი, როდესაც ჩამოვიდა 2008 წლის აგვისტოში და დადგა ჩვენი ხალხის გვერდით

„პოლონეთი საქართველოს გამორჩეული მეგობარი და პარტნიორია, რომელთანაც გვაკავშირებს სტრატეგიული თანამშრომლობა და მჭიდრო ურთიერთობები მთელი რიგი მიმართულებებით. ჩვენ წარმატებით ვთანამშრომლობთ როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში და ვართ დაინტერესებული, მოტივირებულები, რომ კიდევ უფრო განვავრცოთ ჩვენი მრავალგანზომილებიანი ურთიერთობები. ვაფასებთ პოლონეთის მტკიცე მხარდაჭერას ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ჩვენი ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისადმი. ჩვენი ხალხების საერთო ისტორიაში თავისუფლებისთვის ბრძოლაში სოლიდარობის და ურთიერთთანადგომის არაერთი მაგალითია. საქართველო და პოლონეთი ყოველთვის იდგა გვერდიგვერდ მძიმე წუთებში. ჩვენ, ქართველებს არასოდეს დაგვავიწყდება პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის გმირობის ტოლფასი საქციელი, როდესაც იგი, ევროპელ ლიდერებთან ერთად, ჩამოვიდა თბილისში 2008 წლის აგვისტოში, მაშინ, როცა ჩვენ გვქონდა ფართომასშტაბიანი ომი რუსეთის ფედერაციასთან და დადგა ჩვენი ხალხის გვერდით, მან გაუკეთა ორგანიზება ევროპელი ლიდერების ჩამოყვანას, მან პირადად ჩამოიყვანა ევროპელი ლიდერები თბილისში, რათა დამდგარიყო ჩვენი ხალხის გვერდით. ამას თითოეული ქართველი ძალიან აფასებს, ჩვენ გვახსოვს და ვართ მადლიერნი“,** – აღნიშნა პრემიერმა პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ მათეუშ მორავიეცკისთან გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე.

* * *

„აძვე მინდა გავიხსენო პრეზიდენტი კაჩინსკი კიდევ ერთხელ, რომელიც მაშინ ხმამაღლა მოუწოდებდა დასავლელ ლიდერებს, მიეღოთ მკვეთრი და თამამი გადაწყვეტილებები საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით. აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენ ვნახეთ განახლებული პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ახალი სავაჭრო-ეკონომიკური პროექტები და არავითარი სანქცია, კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, სამწუხაროდ. უფრო მეტიც, სამწუხაროდ, მაშინდელმა ჩვენმა ქართულმა ხელისუფლებამაც კი არ დაუწესა სანქციები რუსეთს, მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყდა. ომის შემდეგ, სამწუხაროდ, მაშინდელმა ხელისუფლებამ რუსეთს მიჰყიდა სტრატეგიული ენერგეტიკული ობიექტები და ასევე ცალმხრივად მოუხსნა სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებს და მხარი დაუჭირა რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. ეს ყველაფერი მოხდა ომის შემდეგ. შედეგად, ძვირფასო მეგობრებო, საქართველო დღესაც ოკუპირებულია, სტატუს-კვო არ შეცვლილა, ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი არის ოკუპირებული. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში გვიწევს გამკლავება ოკუპაციასთან, გამოწვევასთან, რომელიც დაკავშირებულია ბორდერიზაციასთან. მიმდინარეობს ჩვენი მოქალაქეების გატაცება, მათი ციხეებში ჩასმა დროებით. სამწუხაროდ, გვაქვს ბევრი ტრაგიკული ფაქტებიც, მათი მოკვლის, თუ გარდაცვალების. ეს არის ის რეალობა, რომელიც არის შექმნილი ჩვენს ქვეყანაში აგვისტოს ომის შემდეგ. შესაბამისად, კარგად ვაცნობიერებთ, თუ რამხელა რისკებს და რამხელა ტრაგედია მიმდინარეობს ახლა უკრაინაში“,** – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

დასავლეთს გაკვეთილი საქართველოს ოკუპაციის მაგალითზე უნდა ესწავლა

გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის თემთა პალატაში უკრაინაში შექმნილი სიტუაციის შესახებ მოსმენა გაიმართა. უკრაინაში რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებზე მსჯელობისას, ბრიტანელმა პარლამენტარებმა მკაფიო პარალელები გაავლეს 2008 წლის საქართველოსთან, როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთი შემოიჭრა. პარლამენტართა თქმით, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, დასავლეთმა დღეს გააცნობიერა ის, თუ რეალურად რა მოხდა საქართველოში, ყირიმში, დონბასსა თუ სირიაში. როგორც პარლამენტარმა დევიდ ლემმა თავის გამოსვლაში განაცხადა **„დასავლეთი სწორედ დღეს ცდილობს გაერკვეს, რისი გაკეთება შეეძლო და რა უნდა გაეკეთებინა მაშინ“.**

საქართველოსა და უკრაინის ომებს შორის არსებულ კავშირზე გაამახვილა ყურადღება ბრიტანელმა პარლამენტარმა ჯონათან ჯანოგლიმაც.

„2008 წელს საქართველოს დაპყრობა დასავლეთში მეტწილად შეუმჩნეველი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მაშინ შემუშავდა ინტერვენციისა და თავდასხმის ის ხელწერა, რომელიც რუსეთმა არაერთხელ გამოიყენა ყირიმსა და უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში“. ჯონათან ჯანოგლი მიესალმა და შთამბეჭდავი უწოდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს. თუმცა, მისი თქმით, რუსეთი დასავლეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური წნეხის ქვეშ ბევრად უფრო ადრეც უნდა მოქცეულიყო. **„ჩვენ რომ გადამჭრელი ზომები მაშინ მიგვეღო, როდესაც რუსეთი საქართველოში შეიჭრა – სხვათა შორის რუსეთს ამ ქვეყნის ნაწილი ჯერ კიდევ ოკუპირებული აქვს – მოგვიანებით ჩვენ შევძლებდით შეგვეჩერებინა დასავლეთში მოვლენების ესოდენ მტკივნეულად განვითარება“,** – განაცხადა ბრიტანელმა პარლამენტარმა.

ქვეყანაში არეულობის შესაქმნელად განკუთვნილი ჭორები

ვრცელდება დეზინფორმაცია ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში ტრანზაქციების აკრძალვის შესახებ...

ეროვნული ბანკი, როგორც საფინანსო სექტორის მარეგულირებელი, იცავს ყველა სტანდარტსა და საერთაშორისო რეზოლუციას, რაც გამორიცხავს ქართულ საბანკო სექტორში რამე ტიპის სანქცირებული ოპერაციის განხორციელებას, – ამის შესახებ ინფორმაციას ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკი ავრცელებს.

„ბოლო დღეებში ვრცელდება დეზინფორმაცია ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში ტრანზაქციების აკრძალვის შესახებ. საზოგადოებას მივმართავთ, რომ აღნიშნული არის ტყუილი და მოქალაქეთა შეცდომაში შეყვანის მცდელობა. რეგიონში გაზრდილი რისკებიდან გამომდინარე, როგორც უცხოური, ისე ქართული ბანკები აანალიზებენ, თუ რამდენად მისაღებია მათთვის იმ რესურსის გაღება, რომელიც საჭიროა კონკრეტული ტრანზაქციების სანქციებთან შესაბამისობის დასადგენად. სწორედ ამ შეფასებისა და კომერციული ბანკის შიდა პოლიტიკა – პროცედურების საფუძველზე მიიღება კონკრეტული ტრანზაქციის თაობაზე გადაწყვეტილებები. ამის მაგალითია ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია შვედეთის ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიერ საქართველოს მიმართულებით ფიზიკური პირებისათვის ტრანზაქციების შეწყვეტაზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ შვედეთის რიგი სხვა ბანკები, ისევე როგორც ევროპისა და აშშ-ს საფინანსო ინსტიტუტები გადმორიცხვებს სტანდარტულ რეჟიმში აგრძელებენ.

ეროვნული ბანკი, როგორც საფინანსო სექტორის მარეგულირებელი, იცავს ყველა სტანდარტსა და საერთაშორისო რეზოლუციას, რაც გამორიცხავს ქართულ საბანკო სექტორში რამე ტიპის სანქცირებული ოპერაციის განხორციელებას“, – ნათქვამია საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათეუშ მორავიეცკი: ლეხ კაჩინსკიმ 2008 წლის 12 აგვისტოს თქვა, დღეს არის საქართველო, ხვალ უკრაინა, ზეგ – ბალტიური ქვეყნები და შეიძლება, მოვიდეს პოლონეთის დრო, ძალიან მძიმეა, რომ ეს ყველაფერი ნაწილობრივ სრულდება

ჩემთვის ძალიან სასიხარულო და დიდი პატივია, რომ ვიმყოფები ამ ულამაზეს ქვეყანაში, რომელიც ძალიან კეთილგანწყობილია პოლონეთის მიმართ, როგორც ემოციურად, ასევე ისტორიულად, პოლიტიკურად, ეკონომიკურ და ყველა სხვა დარგში, მაგრამ ჩემი დღევანდელი ვიზიტი **განსაკუთრებულ პირობებში ხორციელდება,** – ამის შესახებ პოლონეთის პრემიერ-მინიტრმა, მათეუშ მორავიეცკიმ ბათუმში, ქართველ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ, ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, რეგიონში შექმნილია ვითარება, რომელიც ხელს არ უწყობს ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

„ეს არის უპრეცედენტო, ყოველგვარი პროვოცირების და მიზეზის გარეშე, აგრესიული შეტაკება უკრაინაში, რომელიც საქართველოს მეგობრული ქვეყანაა. ეს არის მომენტი, როდესაც ჩვენ უნდა გავიხსენოთ ლეხ კაჩინსკის სიტყვები, რომელიც მან 2008 წლის 12 აგვისტოს თქვა – ეს სიტყვები სამწუხაროდ გამართლდა. მან ბრძანა, დღეს არის საქართველო, ხვალ – უკრაინა, ზეგ – ბალტიური ქვეყნები და შეიძლება მოვიდეს დრო ჩვენი ქვეყნისთვის, პოლონეთისთვის. გვახსოვს ის დრო, როდესაც ბევრისთვის სასაცილო იყო ეს სიტყვები, ანუ სერიოზულად არ აღიქვამდნენ, თითქოს გაგებული იყო ეს სიტყვები, მაგრამ სერიოზულად არც ერთი ქვეყანა არ მიუდგა. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ასე ვთქვათ ერთგვარი წინასწარმეტყველება და ჩვენს გულებში არის ახლა ეს სიტუაცია. ძალიან მძიმეა, რომ ეს ყველაფერი ნაწილობრივ სრულდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რას გავაკეთებთ ჩვენ ახლა ამ უდიდესი პოლიტიკური კრიზისის პირობებში, რომელიც გამოწვეულია უკრაინაზე რუსეთის სამხედრო შეტაკებით. ამიტომ, რამდენიმე დღის წინ ბატონ იაროსლავ კაჩინსკისთან ერთად ვიმყოფებოდით უკრაინაში და ჩვენ იქ ხმამაღლა განვაცხადეთ, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით რუსეთის პოლიტიკას, ჩვენ მხარი დავუჭირეთ უკრაინელ მოსახლეობას, რომელიც იბრძვის არა მარტო უკრაინისთვის, არამედ საქართველოსთვის და პოლონეთისთვისაც. მინდა, აქ, საქართველოს მიწიდან ვთქვა, რომ ჩვენ, საქართველოს პრემიერთან ერთად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ის ღირებულებები, რომელსაც ჩვენ ვაფასებთ ორივე ერი, იყოს გამართლებული და მხარდამჭერი უკრაინელებისთვის. ლეხ კაჩინსკი იყო ყველას, განსაკუთრებით პატარა ქვეყნების დამოუკიდებლობის მხარდამჭერი და ამიტომ დღევანდელი რუსეთის აგრესია ეს არის აგრესია ჩვენი ღირებულებების მიმართ, რომელსაც ჩვენ ორივე ერი ვაფასებთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ შევაჩეროთ ეს აგრესია“, – განაცხადა მათეუშ მორავიეცკიმ.

კელი დეგნანი: საქართველო უერთდება საერთაშორისო სანქციებს, როგორც შეუძლია, არავინ ითხოვს მთავრობისგან რუსეთისთვის ორმხრივი სანქციების დაწესებას

„სანქციების მიზანია, გავლენა მოახდინოს და შეცვალოს რუსეთის ქცევა. პირდაპირ ვიტყვი: არავინ ითხოვს საქართველოს მთავრობისგან რუსეთისთვის ორმხრივი სანქციების დაწესებას. თუ მათ გადაწყვიტეს, რომ ამის გაკეთება არაა საჭირო, არავინ ითხოვს ამას. ორმხრივი სანქციების დაწესებაზე გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა იღებს. თუ რა არის მოსალოდნელი საქართველოსგან, აშშ-ისგან და მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნისგან, ესაა საერთაშორისო სანქციების რეჟიმის მხარდაჭერა. საქართველო ყოველთვის კარგი პარტნიორი იყო საერთაშორისო სანქციებზე მიერთების კუთხით, იქნებოდა ეს ირანის თუ სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს, აშშ-ის და თავისუფლებისა და სტაბილურობის ერთგული სხვა ქვეყნების ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. მნიშვნელოვანია, არ ავურიოთ ერთმანეთში ეს მნიშვნელოვანი საკითხები. საქართველო უერთდება საერთაშორისო სანქციებს, როგორც ეს შეუძლია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველამ მხარდაჭერის ერთიანი გზავნილი გავუგზავნოთ უკრაინას და ამის ერთ-ერთი საშუალება საერთაშორისო სანქციებზე მიერთებაა“,** – განაცხადა კელი დეგნანმა.

თუ მთავრობიდან არ იყო თანხმობა და ეს პირადი ვიზიტი იყო, რომელი თანხით იმოგზაურა პრეზიდენტმა?..

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის პარლამენტში გაკეთებული მოხსენება და პოლიტიკური აქცენტები ცხარე დისკუსიის საგანი გახდა. 14 მარტს, ყოველწლიურ მოხსენებაზე, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ქვეყნის წინაშე მცდარი პოლიტიკის წარმართვაში დაადანაშაულა.

ზურაბიშვილმა ორივე მათგანს მიმართა და განაცხადა: „ქართული საზოგადოება თქვენზე ბევრად უხიზელია, შეგნებული, მამაცი და, რაც მთავარია, ერთიანია“... პრეზიდენტის აზრით, პოზიციაც და ოპოზიციაც სცოდავს და სცოდავს ქვეყნის წინაშე! უმრავლესობა, რადგან თანხმობის ძიების მაგივრად, ყველას, ვინც არ ეთანხმება, ხან მოღალატედ და ხან ომის პარტიად ნათლავს. ოპოზიცია, თანხმობის ძიების მაგივრად, ხელისუფლების ნებისმიერ განცხადებას თუ გადაწყვეტილებას უაპელაციოდ პრორუსულად აცხადებს.

პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ გარდამტეხ მომენტში, ქვეყნისთვის ისტორიული განაცხადი, ერთობლივი ხელმოწერით გამყარებული უნდა ყოფილიყო. მისივე თქმით, ხელისუფლებამ ბრიუსელში და საფრანგეთში მისი ვიზიტები დაბლოკა, ამიტომ მან ევროპაში ძველი კავშირები გამოიყენა და სამიტზე პირადი ვიზიტით გაემგზავრა. რაც შეეხება ოპოზიციას, ზურაბიშვილი მათ ბრიუსელში, კიევსა თუ ამერიკაში იმ მცდელობებში ადანაშაულებს, რომლითაც ისინი საქართველოს სახელის და სახის გაშავებას ცდილობენ.

მისი აზრით, ასეთი პოლიტიკურად მოტივირებული თავდასხმა, მხოლოდ მთავრობას არ აზიანებს, არამედ ქვეყანას და მგრის საქმეს აკეთებს! მისი აზრით, ოპოზიცია სცოდავს, როცა რადიკალურ ზომებზე აპელირებს და ამით ცდილობს, მთავრობის შერყევას, ანუ შექმნილი საერთაშორისო ვითარების გამოყენებით საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის მიღწევას. ამ დროს კი, ქვეყანას აყენებს ჩიხურ მდგომარეობაში და შესაძლოა, საფრთხის ქვეშ ისე, რომ ამის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე არ იღებს.

პრეზიდენტმა აქვე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ის სააკაშვილის შეწყალების თემას ხელახლა არ განიხილავს, რადგან პასუხი ერთხელ უკვე გაცემულია. უკრაინის ომით ამ საკითხის გაცოცხლება კი, მხოლოდ შიდა პოლარიზაციის გაღვივების გამომწვევია.

პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების ახალი, რეალური შანსი არსებობს, რაზეც მან ევროპაში განხორციელებული ვიზიტებისას ჩაგარებულ შეხვედრებზე დაყრდნობით ისაუბრა. მისივე თქმით, უკრაინის ომის მიმართ ქართული მხარის მიდგომა სრულიად კონსოლიდირებული უნდა იყოს.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ამბობს, რომ მთავარი, რაც მას საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში მოეწონა, იმის დამტკიცება იყო, რომ ის ზეპარტიული პრეზიდენტია და „ოცნების“ ინტერესების გამტარებელი არ არის. აბაშიძე ამბობს, რომ დესტრუქციული ოპოზიციის მანიპულირება იმაზე, რომ ის ხელისუფლების მიერ მართული პრეზიდენტი იყო, მცდარი აღმოჩნდა.

„14 მარტს პარლამენტში გამოსვლას ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი აკლდა, რაც პრეზიდენტის ერთი წლის მუშაობის შეჯამებაა. მთლიანად უკრაინის თემაზე მოხდა აქცენტების გაკეთება, მაგრამ ასევე საჭირო იყო, რომ სახელმწიფოს მეთაურს ხალხისთვის ეთქვა, ერთი წლის განმავლობაში რა გააკეთა. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ზურაბიშვილმა თქვა ქვეყანაში პოლარიზაცია უნდა დასრულდეს, თავად მან სააკაშვილის პარტია სხვა სიტყვებით მოიხსენია და „ნაციონალური მოძრაობა“ ძირგამომთხრელ საქმიანობაში დაადანაშაულა. ძირგამომთხრელი პარტია, თუ მეხუთე კოლონა, ეს ერთი და იგივე კონტექსტია. შეუძლებელია, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ დაიჯეროს, ხვალ ან ზეგ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთგვარი კონსენსუსი მოძებნოს. გამორიცხულია ენმ-ის ქუჩის აქტივისტებმა პოლიციელებზე თავდასხმა, ადმინისტრაციულ შენობებთან ობსტრუქციების მოწყობა გადაიფიქრონ. როგორც სისხლის სხვადასხვა ჯგუფი ვერ შეერწყმება ერთმანეთს, ისე „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ თანამშრომლობა ვერ მოხდება.

რაც შეეხება იმ საჯაროდ გამოტანილ ამბავს, რომელიც პრეზიდენტის ევროპაში გამგზავრებას გულისხმობდა, ვფიქრობ, ეს საკმაოდ არაკორექტული იყო. ეს შიდა კულუარული, მგრძნობიარე თემაა, რომელსაც ძალიან ვიწრო წრეში მაღალჩინოსნები ხილავენ. ამის გასაჯაროებით პრეზიდენტმა აღიარა, რომ კონსტიტუცია დაარღვია. თუ მთავრობიდან არ იყო თანხმობა და ეს პირადი ვიზიტი იყო, რომელი თანხებით იმოგზაურა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა და მისმა დელეგაციამ?“, — ამბობს **აბაშიძე.**

მისივე თქმით, ყველაზე კარგი და საგულისხმო მის გამოსვლაში ის იყო, რომ სააკაშვილის შეწყალებას არ აპირებს. ერთხელ თქვა და მეტად ამის გამეორებას აღარ აპირებს. მეორე ეს არის სამართლიანობისთვის ბოიკოტის გამოცხადება, რადგან ნებისმიერმა დამნაშავემ კუთვნილი სასჯელი უნდა მოიხადოს.

„კი ბატონო, გასაგებია, რომ პრეზიდენტმა ოპოზიცია გააკრიტიკა და სწორი აქცენტები გააკეთა, მაგრამ შედეგის მიღწევა შეუძლებელია. კონსტრუქციული პოლიტიკური ძალები, დესტრუქციულ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ შეთანხმებას ვერ მიაღწევენ.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** კი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისას



იმ ფუნქციის შესრულება დაიწყო, რაც კონსტიტუციით მისი მოვალეობაა. ძაბირაძე For.ge-სთან მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი არც ხელისუფლებასთან და არც ოპოზიციასთან აფილირებული არ იყო. მას ნეიტრალური პოზიცია ეკავა და ორივე მათგანი საკმაოდ ობიექტურად გააკრიტიკა.

„ის შექმნილი ვითარება, რაც ახლა საქართველოში არსებობს, მხოლოდ ხელისუფლების დამსახურება არაა. ამაში წვლილი ოპოზიციასაც მიუძღვის. უკვე ორი წელია ეს დაპირისპირება გრძელდება და არანაირი შედეგი არც ოპოზიციისთვის და არც ხელისუფლებისთვის არ მოაქვს. ეს დაპირისპირება ქვეყნის საწინააღმდეგოდ მუშაობს. ამიტომ პრეზიდენტს აბსოლუტურად ვეთანხმები იმ ნაწილში, როცა ორივე მათგანს აკრიტიკებს. ის, რომ ხელისუფლება მოზომილი უნდა იყოს თავის განცხადებებში, ამაში ვეთანხმები, რადგან გაუთვალისწინებელ განცხადებებს ოპოზიციის მხრიდან ინტერპრეტაციები მოჰყვება და თან თავისას ამატებს, ცდილობს, რომ ეს ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ეს კი ცუდ ვითარებას არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთაც ქმნის. დეტალებში გარკვევის და ჩახედვის დრო ძალიან ბევრ ჩვენს მოქალაქეს არ აქვს. ამიტომ პრეზიდენტმა ორივე მხარეს რაც მოუწოდა, რომ სიძულვილის ენა რაღაცნაირად შემციდდეს, სწორია. კამათი უნდა იყოს და ოპოზიციასაც კრიტიკული დამოკიდებულება უნდა გააჩნდეს, მაგრამ ამ ქვეყანაში უნდა დასრულდეს ის, რაც 30 წლის განმავლობაში გრძელდება - იარლიყების მიკერება და მცდელობა იმისა, რომ რადიკალური ქმედებებით პირად საწადელს მიაღწიონ. ამიტომ ვთვლი, რომ პრეზიდენტის გამოსვლა კარგი იყო და სწორი აქცენტები ჰქონდა გაკეთებული“, — ამბობს **ძაბირაძე.**

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ერთს და მნიშვნელოვან რაღაცას უკვე 10 წელია ვერ მიხვდა, რომ ქართველი საზოგადოება გაიზარდა. ამიტომ მისი მანიპულირება უკვე ძალიან ჭირს. ასევე ვერ მიხვდა იმას, რომ ქართველი ახალგაზრდების გულწრფელ პროტესტს უკრაინასთან დაკავშირებით პირადი პოლიტიკური მიზნებისთვის ვერ გამოიყენებენ. ანალიტიკოსი ამბობს, რომ სწორია, როცა პრეზიდენტი ამბობს, რომ სააკაშვილის გათავისუფლება და შეწყალება ქვეყნის შიგნით საზოგადოებას შორის პოლარიზებას კიდევ უფრო გაზრდის.

„ის, რომ უკრაინის მხარდასაჭერად ახალგაზრდები გარეთ გამოვიდნენ, არ ნიშნავს იმას, რომ მათ მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლება უნდათ, ან მიაჩნიათ, რომ ის უდანაშაულოა. ამიტომ „ნაციონალური მოძრაობის“ მცდელობა უკრაინის მხარდამჭერი პროტესტი საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ, კრახით სრულდება. მოსახლეობა გაიზარდა და სწორად თქვა პრეზიდენტმა, რომ უფრო მამაცები და ჭკვიანები არიან. ამიტომ რაღაცა კონსენსუსი ამ სიტუაციაში უნდა მოინახოს, რომ ქვეყანა არ დაზიანდეს და ამაში პრეზიდენტს სრულიად ვეთანხმები“, — ამბობს **ძაბირაძე.**

ლიკა ბერიკაშვილი

ავთანდილ არაბული: უნდა დავაფასოთ ხელისუფლების ღვაწლი...

პირველი შემთხვევაა, როდესაც ჩვენ პირველი არ შევვარდით გაჩენილ ხანძარში. უნდა დავაფასოთ ხელისუფლების ღვაწლი ამ თვალსაზრისით, ჯერჯერობით ამ ბეწვის ხიდზე ისე გადიან, რომ საქართველო არ დაზარალებულა. ეს გონიერებაა, ეს სიბრძნეა, — ამის შესახებ აკადემიკოსმა, ავთანდილ არაბულმა გადაცემაში, „იმედი LIVE“ განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება და ხალხი ყველაფერს აკეთებს უკრაინის დასახმარებლად. **„ყველა ევროპელმა ლიდერმა შეაფასა ჩვენი ხელისუფლების პოზიცია როგორც სწორი, რაციონალური და საკმარისი. ახალგაზრდა კაცია პრემიერ-მინისტრი და არ ვიცი, სად არის ის სიბრძნე, რომლითაც ის ხელმძღვანელობს. ერთი მხრივ სიბრძნე და მეორე მხრივ, მას აქვს მტკიცე და პრინციპული პოზიცია, როდესაც ამის გამოხატვაა საჭირო.**

საქართველოს ხელისუფლება და ხალხი ყველაფერს აკეთებს უკრაინის დასახმარებლად. პოლიტიკურ არენაზეც და რეალურ ცხოვრებაშიც. მარტო იმას რომ ვუყუროთ, უკრაინელების დასახმარებლად ხელისუფლება და მთელი საზოგადოება როგორ არის ჩაბმული ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვებაში, ან უკრაინელი ლტოლვილები როგორი ზრუნვის ქვეშ არიან, ჩანს, როგორი თანადგომა გვაქვს ჩვენ უკრაინელების მიმართ“, — განაცხადა ავთანდილ არაბულმა.

დათო ევგენიძე: ის ქმედითი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ გადადგა, აბსოლუტურად ლეგიტიმურია და ბოლომდე გამოხატავს უკრაინის ხალხის გვერდზე დგომის ნებას

„ჩვენ რუსეთთან ომი მარტო 8 აგვისტოს კი არ გვქონდა, 90-იანი წლებიც გავიხსენოთ. აფხაზეთის პირველი ომი იყო, მერე სამაჩაბლოს დაკარგვა და აფხაზეთის, მერე ამის აღიარება 2008 წელს. თითქმის 30 წელია ერთი და იგივე მდგომარეობაში ვართ ამ ქვეყანასთან. ვერ ვხვდები როგორ შეიძლება ამ დროს ერი არ იყოს ერთიანი. წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში ეს ვნებს არა მარტო საქართველოს, არამედ უკრაინასაც, რომელსაც არასწორად ეწოდება ინფორმაცია, რომ საქართველო მთლიანად არ არის მის გვერდით. ეს რომ, პოლიტიკით სპეკულაცია ამ შემთხვევაში მიმაჩნია წარმოუდგენლად და დაუშვებლად“, — განაცხადა ევგენიძემ.

უკრაინაში მიმდინარე სამამულო ომი ახალ, რიგით მესამე ფაზაში შევიდა. დაპირისპირების პირველ დღეებში უკრაინული მხარე გონს მოდიოდა და სამხედრო პოტენციალის სრულ მობილიზაციას ახდენდა. მეორე ფაზაში, პუტინის მეომრებმა მსხვილ ქალაქებს შეუტიეს, მაგრამ უშედეგოდ. ამჟამად რიგით მესამე და ალბათ, გადამწყვეტი „რაუნდი“ იწყება, ოღონდ რუსების საბრძოლო ტაქტიკა მკვეთრად შეიცვალა – მუშიდობიანი მოსახლეობით დასახლებულ ადგილებს სასტიკად ბომბავენ და ყველაფერს, ცოცხალსა თუ მკვდარს მიწასთან ასწორებენ.

ამერიკელი და ბრიტანელი სამხედრო ექსპერტების მტკიცებით, პუტინს უკრაინაზე საბოლოო გამარჯვების უფრო ნაკლებად სჯერა, ამიტომ მთელი მონდომება ამ ქვეყნის ქალაქებისა და სტრატეგიული ობიექტების სრულ განადგურება-გაჩანაგებაზე გადაიტანა. ამ „ხერხით“ ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა სურს – წარმატების შემთხვევაში უკრაინას კიდევ უფრო დააჩოქებს, მარცხი თუ განიცადა – დასავლეთის ქვეყნების გარკვეულ დონეზე ეკონომიკურად დასუსტებას ხელს შეუწყობს, რადგან უკრაინას გავერანებული ქალაქების აღდგენაში აქტიურად დაეხმარებიან.

ალა პუგაჩოვა: მალე დაგაწყობენ გულზე „МИЛЛИОН АЛЫХ РОЗ“-ს და ამის შემდეგ რუსეთში აუცილებლად დავბრუნდები

თავად პუტინს საქმე კარგად არ მისდის: უახლოესი გარემოცვა თანდათან განუდგა, თანამემამულე ოლიგარქები უკმაყოფილობას აღარ მალავენ, დღითიდღე უფრო მეტი რუსეთის მოქალაქე ანტიმილიტარისტული განწყობით „ავადდება“. შორს არ არის ის დრო, როდესაც რუსეთის ქალაქებში, „ომონი“ თუ „მილიცია – პოლიცია“ მოსახლეობის დაკავებასა და დარბევას ფიზიკურად ვეღარ შეძლებს. 11 მარტს, აშშ-ის დაზვერვამ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომ უახლოეს 72 საათში რუსეთში პუტინის ფიზიკური ლიკვიდაცია განხორციელდება. ვინ ჩაიდენს ამ „გმირობას“, სად და როგორ, ამაზე ამერიკული მხარე ინფორმაციას არ ავრცელებს. წამმზომი უკვე ჩართულია და მისი „შედეგი“ მალე გვეცოდინება. ერთ-ერთ უცხოურ ვებ-გვერდზე, პუტინის მოსალოდნელი გარდაცვალების შესახებ ალა პუგაჩოვას შეეკითხნენ და მისი პასუხიც ქვესაოთაურად დიდი ასოებით გამოიტანეს: „მალე დაგაწყობენ გულზე **„МИЛЛИОН АЛЫХ РОЗ“-ს და ამის შემდეგ რუსეთში აუცილებლად დავბრუნდები“.** ამ ნათქვამის უტყუარობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, შეიძლება გავრცელებული „ფეიქიც“ გახლავთ.

ფაქტი ერთია, რუსეთს უკრაინაში ძალიან გაუჭირდა. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის შვიდ მარტს, გავლენიანმა გამოცემამ „Wall Street Journal“-მა გავრცელა ცნობა, რომ რუსეთი სირიაში მოხალისეების დაქირავებას იწყებდა. მეორე დღეს ანალოგიური ინფორმაცია **ბაშარ ასადის** ოპოზიციაში მყოფმა გამოცემამ „DeirEzzor24“-მა გამოაქვეყნა, ოღონდ ამ საკითხში მეტი სიცხადე შეიტანა. სამთავრობო სირიული ქვედანაყოფების დაქირავების გარდა, რუსეთი უკრაინის ომში ტერორისტული ორგანიზაცია „ISIS“-ის მეომრების ჩაბმასაც გეგმავს. ამ „მოხალისეთა“ ნაწილს კიევის აღების ოპერაციაში ჩაბამენ, მეორე ნაწილს კი ე.წ. „საპოლიციო“ ფუნქციას მიანჭებენ, ანუ რუსეთის ჯარის მიერ ამა თუ იმ უკრაინული დასახლებული პუნქტის აღების შემდეგ, იქ წესრიგს სირიული კონტინგენტი დაიცავს.

„მოხალისეების“ შესახებ ოფიციალური განცხადება ჯერ **ვლადიმირ პუტინმა** გააკეთა, შემდეგ ამავე საკითხს რუსეთის თავდაცვის მინისტრი **სერგეი შოიგუ** შეეხო, ბოლოს კი სპეციალურ პრესკონფერენციაზე **დმიტრი პესკოვმა** ისაუბრა. პესკოვთან ერთი საინტერესო „კაზუსიც“ დაფიქსირდა. „კაპიტალისტური ქვეყნების“ ჟურნალისტებმა პუტინის პრესმდივანს შემდეგი კითხვა დაუსვეს: – როგორ და რა გზებით უკავშირდებიან უკრაინაში საბრძოლველად გამზადებული სირიელი მებრძოლები რუსულ მხარეს? პესკოვის პასუხი „პროზაული“ გახლდათ: მთავარია მონდომება იყოს და საჭირო ადამიანები ერთმანეთს იოლად მოძებნიანო.

თავად დმიტრი პესკოვსა და მის ოჯახს სახუმაროდ საქმე ნამდვილად არ აქვს. აშშ-მა „ოხუნჯ“ პრესმდივანს, მის ამჟამინდელ მეუღლე **ტატიანა ნავკას** და შვილებს – **ნიკოლაისა** და **ლიზას** უმკაცრესი სანქციები დაუწესა. ეს ის ლიზაა, რომელსაც „ინსტაგრამზე“ ორასი ათასი გამომწერი ჰყავს და რამდენიმე დღის წინ ამ სოციალურ ქსელში შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა – **„არა ომს!“**, თუმცა მოწოდება სულ რაღაც ერთ საათში უგზო-უკვლოდ გააქრო.

რუსეთი ახლო აღმოსავლეთელ „მოხალისეებს“ თავს უყრის, უკრაინაში კი პუტინის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოდან ჩასული ოცი ათასამდე მეომარი იბრძვის. მათ შორის გახლავთ ჩვენი პლანეტის საუკეთესო სნაიპერად მონათლული, 40 წლის კანადელი „ვოლი“. რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში არის ჩაბმული ისრაელის სპეცრაზმის ვეტერან მებრძოლთა ელიტური შენაერთიც.

ყველას აინტერესებს გაჩაღებული ომის დღეებში სად იმყოფება ვლადიმირ პუტინის ოჯახი. მისი პირადი ცხოვრება მკაცრად გასაიდუმლოებულია. ოფიციალურად ცნობილია, რომ პუტინს ლუდმილა შკრებნევასთან პირველი ქორწინებიდან ჰყავს ორი ქალიშვილი, 36 წლის მარია და 35 წლის კატერინა. ამჟამად მის გვერდით ახლო წარსულში ცნობილი მხატვრული ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევაა, რომელთანაც რუსეთის ლიდერს ოთხი შვილი – ტყუპი გოგონები და ორი ვაჟი ჰყავს.

გამოცემა „Page Six“-ის მტკიცებით, კაბაევა შვილებთან ერთად ამჟამად შვეიცარიაში იმყოფება.

„მიუხედავად იმისა, რომ პუტინი თავს ესხმის უკრაინას, თავს ესხმის მშვიდობიან მოსახლეობას და ქმნის ლტოლვილთა კრიზისს, მისი ოჯახი იმალება ძალიან იზოლირებულ და ძალიან უსაფრთხო სივრცეში, სადღაც შვეიცარიაში – ყოველ შემთხვევაში, ამ დროისთვის. ყველა ბავშვს აქვს შვეიცარიული პასპორტი. კაბაევაც შვეიცარიის მოქალაქეა“, – ასეთია გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაცია.

საპროტესტო მონიტორინგის ჯგუფმა „OVD Info“-მ ახალი „სტატისტიკა“ გავრცელა – 24 თებერვალს უკრაინაში შეჭრის დაწყებიდან, რუსეთში ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებზე უკვე 14 ათასი ადამიანია დაკავებული. ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი ცნობილი შოუ-ბიზნესის წარმომადგენლის მსგავსად ქვეყანა პოპულარულმა მსახიობმა, კომიკოსმა და ტელეწამყვანმა **ივან ურგანტმაც** დატოვა. ის ოჯახთან ერთად ისრაელში იმყოფება და ამ ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას ცდილობს. რამდენიმე დღის წინ რუსეთში უკრაინაში ომის საწინააღმდეგო ახალი მიმართვა გავრცელდა. ცნობილი რუსულენოვანი მწერლები რუსულად მოსაუბრე ადამიანებს უკრაინაში მიმდინარე ომზე სიმართლის თქმისა და სწორი ინფორმაციის გავრცელებისკენ მოუწოდებენ. ხელმომწერებს შორის სხვებთან ერთად არიან **სვეტლანა ალექსიევიჩი, ვლადიმირ სოროკინი, ლუდმილა ულიცკაია, დმიტრი გლუხოვსკი და ბორის აკუნინი.**

„კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რუსმა მოძალადეებმა უკრაინაში რუსეთის აგრესიის შესახებ სრული სიმართლე გაიგონ. სიმართლე უკრაინელების წამებისა და დანაკარგების შესახებ; იმ მშვიდობიანი მოსახლეობის შესახებ, რომელიც მიზანში ამოიღეს და დახოცეს; იმ საფრთხის შესახებ, რომელიც ევროპის მთელ კონტინენტს და, შესაძლოა, მთელ კაცობრიობასაც ემუქრება – თუკი გავითვალისწინებთ, რომ ეს ბირთვული საფრთხეა.

თქვენ რუსულად ლაპარაკობთ. ეს მნიშვნელოვანია. გთხოვთ, კომუნიკაციის ყველა შესაძლო გზა გამოიყენეთ: ტელევიზორები, მესენჯერი, ელ-ფოსტა. ხმა მიაწვდინეთ იმ ხალხს, ვისაც იცნობთ. მათაც, ვისაც არ იცნობთ. სიმართლე უთხარით. თუ ვლადიმირ პუტინს არც ესმის და ვერც ხედავს, რუსებმა შეიძლება მათ მოუსმინონ, ვინც მათ ენაზე საუბრობს. ეს დანაშაულებრივი ომი უნდა დასრულდეს“.

სანტიაგო გაუჩო

რუსებმა სამი გენერალი დაკარგეს

უკრაინაში **რუსეთის შეჭრიდან დღემდე, რუსეთის არმიამ 7 ათასზე მეტი სამხედრო დაკარგა,** – ინფორმაციას ამის შესახებ გაზეთი The New York Times-ი აშშ-ის დაზვერვის მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს რიცხვი აღემატება ერაყსა და ავღანეთში 20 წლის განმავლობაში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობას.

აშშ-ის დაზვერვის შეფასებით, დაჭრილი რუსი სამხედროების რიცხვი 14-დან 21 ათასამდე მერყეობს. გარდა ამისა, უკრაინის, ნატოსა და რუსეთის ოფიციალური პირების ინფორმაციით, რუსმა სამხედროებმა ბრძოლაში, სულ მცირე, სამი გენერალი დაკარგეს.

„პროდასავლურად მოაზროვნე“ რუსები მოღალატეები არიანო

დასავლეთი **შეეცდება, დაეყრდნოს ე.წ. მეხუთე კოლონას, ეროვნულ მოღალატეებს, მათ, ვინც აქ შოულობს ფულს, მაგრამ იქ ცხოვრობს, იქ ცხოვრებაში არ ვგულისხმობ გეოგრაფიულად, არამედ მათი აზროვნებით, მათი მონური ცნობიერების მიხედვით,** – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა.

„საერთოდ არ განვიკითხავ მათ, ვისაც ვილა აქვთ მაიამიში, ან ფრანგულ რივიერაზე, ვინც ვერ ძლებს ფუაგრას ხამანწკების ან ე.წ. გენდერული თავისუფლების გარეშე. პრობლემა ამაში არ არის, არამედ იმაში, რომ ბევრი მათგანი მენტალურად იმყოფება იქ და არა აქ, ჩვენთან ერთად. მათი აზრით, ეს იმის ნიშანია, რომ უმაღლეს კასტას მიეკუთვნებიან. ასეთი ხალხი მზადაა, მშობელი დედაც კი გაყიდოს, ოღონდ მათ მისცენ ნება, ამ უმაღლესი კასტის შემოსასვლელში ისხდნენ“, – განაცხადა პუტინმა.

ზელენსკი რუს დედებს აფრთხილებს

თუ ეს ომი კიდევ გაგრძელდება, რუსი დედები იმაზე მეტ შვილს დაკარგავენ, ვიდრე მათ ჩეჩნეთისა და ავღანეთის ომებში ერთად დაკარგეს, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, თითოეული რუსი ჯარისკაცი, რომელიც იარაღს დაყრის, გადარჩენის შანსს მიიღებს.

„მივმართავ რუს წვევამდელებს, ასევე სხვა რუს ჯარისკაცებსაც: დაყარეთ იარაღი, რადგან ეს უკეთესია, ვიდრე ჩვენს მიწაზე ბრძოლის ველზე დაღუპვა“, – აღნიშნა ზელენსკიმ.

ელენე აბაშიძე 100 წლისაა!

ეს ღვთის სასწაულია!

540 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს **ელენე აბაშიძეს** 100 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა 1922 წლის 18 მარტს ქ. ჭიათურაში.

7 წლის ასაკში შევიდა სკოლაში და ამ დროიდან იქცა წიგნი მისი ცხოვრების უმთავრეს მეგობრად და თანამგზავრად.

სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ელენე აბაშიძე უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ენის სპეციალობით. თუმცა მალევე გადავიდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე შექმნილ ახალ მიმართულებაზე – „ჰიდროლოგია“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1944 წელს, ელენე აბაშიძე გაანაწილეს ჭიათურის რაიონის სოფ. პერევისის საშუალო სკოლაში, სადაც მასწავლებლების დეფიციტის გამო 4 საგანს – ფიზიკას, გეოგრაფიას, გეომეტრიასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა. ამასთან, სასწავლო ნაწილის გამგეობასაც ითავსებდა.

შრომითი საქმიანობა მან ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის დროს დაიწყო. სხვადასხვა დროს მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, თბილისის მოზარდთა სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, წითელი ჯვრის საზოგადოებაში მეთოდისტად, განათლების სისტემაში, სატყეო მეურნეობის სამინისტროში, ამავე სამინისტროს მელიორაციულ ექსპედიციაში და შემდეგ კი „კავკასნახშირგეოლოგიაში“ – ჰიდროგეოლოგად, რამაც განაპირობა მისი დაინტერესება ამ სპეციალობით.

1952-56 წლებში ელენე აბაშიძემ ასპირანტურის კურსი გაიარა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, გრუნტის მექანიკის განყოფილებაში, ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სპეციალობით. 1968-82 წლებში მუშაობდა ამავე ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1989-95 წლებში კი ეკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოში უფროს მეთოდისტად.

1967 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გლაუკონიტიანი კირქვების ხსნადობა კარსტის განვითარებასთან კავშირში შაორის კარსტული მხარის მაგალითზე“. ამ შრომაში მან პირველმა უარყო მეცნიერებაში ორი საუკუნის განმავლობაში დამკვიდრებული ე.წ. „ხსნადობის თეორია“.

1967 წელს, ელენე აბაშიძემ მონაწილეობა მიიღო ქ.ლუბლიანაში VI საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში, რომელიც ეძღვნებოდა კარსტმცოდნეობის და სპელეოლოგიის საკითხების შესწავლას და ამ დარგში კვლევის სიახლეებს. მისმა მოხსენებამ კონგრესის მონაწილე მეცნიერთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან ელენე აბაშიძის კვლევები სხვა მეცნიერებთან განსხვავებით ემყარებოდა ექსპერიმენტულ ცდებს და არ ჰქონდა აღწერილობითი ხასიათი, რამაც დიდი მნიშვნელობა შესძინა მას მსოფლიო მასშტაბით.

აღსანიშნავია, რომ ელენე აბაშიძემ შეისწავლა კავკასიონის კირქვიანი ზოლის ქიმიზმი, მინერალური შედგენილობა, ქანების პეტროგრაფია, ხოლო ამის შემდეგ ჩაატარა ექსპერიმენტები და შეისწავლა კირქვებში ხსნადობის პროცესი წყლის სხვადასხვა სიჩქარეებზე, რის შედეგადაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სწორედ წყლის სიჩქარეები ასრულებს გადამწყვეტ როლს ქანის ნაპრალების დროში გაფართოების პროცესში. მან დაასაბუთა, რომ წყლის დინების სიჩქარე ასევე განპირობებულია ტექტონიკით, ქანების განლაგების ჰიფსომეტრიული დონით, ტემპერატურით და ატმოსფერული ნალექების რაოდენობით. ამავე დროს დინების სიჩქარე დამოკიდებულია ქანების ზედაპირის უხეშობაზე, სითხის ხვედრით წონაზე და მის სიბლანტეზე. ელენე აბაშიძის მიერ მოცემულია წყალსაცავების ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის მისი საერთო მდგომარეობის დიაგნოსტიკა, ფილტრაციის სიდიდის მათემატიკური ანალიზის საშუალებით პროგნოზირება და დროთა განმავლობაში წყალსაცავის რეჟიმის პერსპექტივაში დარეგულირების შესაძლებლობა. ელენე აბაშიძემ შექმნა კარგად დასაბუთებული თეორია, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ელენე აბაშიძე თავისი მებრძოლი ხასიათით მუდამ აღწევდა დასახულ მიზანს. 1998 წელს, 79 წლის ასაკში, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „კარბონატულ ქანებში კარსტის წარმოშობის ჰიდროქიმიური და ჰიდროდინამიკური მექანიზმი“.

მნიშვნელოვანი და საგულისყუროა მისი სამეცნიერო კვლევები, რომელთა შედეგადაც გამოყოფილია კავკასიონის ამგები კარბონატული ქანების (2კმ. სიმძლავრის ფენის) სახეობები და ის გაიგივებულია მსოფლიოში არსებული მთათა სისტემების შემადგენელ კარბონატულ ქანებთან;

შემუშავებულია კირქვის ხელოვნურ ნაპრალებში ზედაპირების წყლის დინებით გამოწვეული ცვალებადობის შესწავლის და ნაპრალის ზედაპირის ცვალებადობის მეთოდი (ხსნარიდან ჰაერის ბუშტების გამოყოფა);

ჩამოყალიბებულია დასკვნა წყლის დინებით გამოწვეული ნაპრალის ზედაპირზე ბაქტერიალური აირის წარმოშობის პროცესისა და კალციტის და დოლომიტის ხსნადობაში მათი განსხვავების შესახებ.

ელენე აბაშიძემ ჩაატარა 13200 ექსპერიმენტი და მათ საფუძველზე გამოაქვეყნა 540 სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის, მონოგრაფია კითხვარის სახით, „ეკოლოგიის საფუძვლების ზოგიერთი საკითხები“ და 2 ბიოგრაფიული ნაშრომი: „მე და ჩემი სამყარო“ და „არსებობის გამართლება“.

აშშ ბიოგრაფიის საერთაშორისო ინსტიტუტმა ელენე აბაშიძეს 1998 და 2003 წლებში „წლის ქალბატონის“ წოდება მიანიჭა; მანვე 2001 წელს შეიყვანა იგი „მსოფლიოს 500 გავლენიანი ლიდერის“ და 2002 წელს „მსოფლიოს ასი ყველაზე საინტერესო ადამიანის“ სიაში.

ელენე აბაშიძე იმ თერთმეტ ადამიანთა შორის იყო, რომლებიც ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეების ძალისხმევით 1945 წელს პირველად ავიდნენ ხვამლის მთაზე. მისი პირველი ნაშრომიც სწორედ ხვამლის კარსტს მიეძღვნა.

ელენე აბაშიძე არის „საქართველოს თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს“ წევრი.

„როგორც ჩანს ვიცხოვრე ქრისტიანული ცხოვრებით და ალბათ, ამიტომაც მივაღწიე 100 წლის ასაკს. შევინარჩუნე ამ ხნოვანებაში ნორმალური აზროვნება და ფიზიკური ძალა, რომ ვიყო ნამდვილი მონაწილე ცხოვრებისეული მოვლენების. განა ეს არ არის ღვთის წყალობა? განა ეს არ არის სასწაული?“ ამბობს ქალბატონი ელენე. ელენე აბაშიძე ერთადერთია გეოგრაფ-გეოლოგებს შორის, რომელმაც საუკუნეს მიაღწია. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და კიდევ დიდი ხნის სიცოცხლეს.

ერეკლე გამყრელიძე,
აკადემიკოსი, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი

მედიკამენტები 60-80 პროცენტით გაიაფდა!

საძარმევლოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შედეგად, თურქეთიდან, ამ ეტაპზე, 30-ზე მეტი დასახელების მედიკამენტია იმპორტირებული, მათი ფასი კი საშუალოდ 60%-დან 80%-მდეა შემცირებული.

მაგალითისთვის, გულ-სისხლძარღვთა სამკურნალო ტაბლეტი „ატაკანდი“ დღეს 84%-ით ნაკლები ღირს და მისი ფასი 79 ლარის ნაცვლად, 12 ლარია. 41 ლარის ნაცვლად, 9 ლარი ღირს „დიოვანი“. მოსახლეობას 91%-ით ნაკლების გადახდა მოუწევს „კრესტორი“-ს აბებში, მედიკამენტის ფასი დღეს, სხვადასხვა აფთიაქებში 9 ლარიდან 15 ლარამდე მერყეობს, მანამდე კი პრეპარატის ფასი 110 ლარს აჭარბებდა.

გაიაფდა დიაბეტის, ჰორმონალური, ნევროლოგიური, ძვალ-სახსროვანი, ასევე სასუნთქი სისტემისთვის განკუთვნილი პრეპარატები. „ინსულინი ლანტუსი“-ს შეძენა 238 ლარის ნაცვლად, 43 ლარად არის შესაძლებელი. „არიმიდექსი“ 78 ლარის ნაცვლად –- 29 ლარი ღირს, „ბეტასერკი“ 26 ლარის ნაცვლად, – 8 ლარი. „აკლასტა“ 867 ლარის ნაცვლად – 223 ლარი. „სიმბიკორტი“ 84 ლარის ნაცვლად – 15 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ეს ქართულ ბაზარზე უკვე შემოსული, თურქული მედიკამენტების არასრული ჩამონათვალია. თურქეთიდან იმპორტირებული ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მედიკამენტების სია ეტაპობრივად იზრდება და მათი შეძენა შესაძლებელი იქნება საქართველოს მასშტაბით არსებულ სააფთიაქო ქსელებში.

პრემიერის უპრეცედენტო ინიციატივამ შედეგი უკვე მოიტანა. მოსახლეობა გაიაფების ეფექტს თავად ამჩნევს. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე **ილია ღუდუშაური** აღნიშნავს, რომ დაახლოებით ერთ თვეში, ხელმისაწვდომი მედიკამენტების რაოდენობა 200-მდე გაიზრდება. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში, უკვე 50-მდე მედიკამენტის რეგისტრაციაზე არის განაცხადი შესული, რომელსაც ჯანდაცვის სამინისტრო დაჩქარებული რეჟიმით განიხილავს.

„წინა კვირას ჯანდაცვის მინისტრი თურქეთში იმყოფებოდა, სადაც ადგილობრივ კოლეგას შეხვდა და ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი სწორედ იმპორტირებული მედიკამენტების ხარისხი და ასევე იმპორტის პროცესის დაჩქარება იყო. ამ კვირაში, ასევე იგეგმება ჩემი ვიზიტიც, რომლის ფარგლებშიც, მწარმოებელ კომპანიებს შევხვდები, იმისთვის, რომ იმპორტის პროცესი გამარტივდეს და დაჩქარდეს. შესაბამისად ველოდებით, რომ დაახლოებით ერთ თვეში ასორტიმენტიც, ხარისხიც და ფასიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება“, – აღნიშნავს ილია ღუდუშაური.

გარდა ამისა, სულ მალე ამოქმედდება ახალი წესი, რომელიც ასევე მნიშვნელოვან ცვლილებას დაუდებს სათავეს. აპრილიდან ექიმებს მხოლოდ გენერიკული მედიკამენტების გამოწერის უფლება ექნებათ და კონკრეტულ ბრენდს ვეღარ მიუთითებენ. შესაბამისად, მომხმარებელი აფთიაქში თავად გადაწყვეტს, რომელი ქვეყნის წარმოების წამალი შეიძინოს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, **ზურაბ აზარაშვილიც** ადასტურებს, რომ 200-მდე თურქული წარმოების მედიკამენტი ქვეყანაში მალე შემოვა: **„ვფიქრობ, მომავალი ერთი თვის განმავლობაში სრულად შემოვიტანთ ყველა იმ მედიკამენტს, რისი მოლოდინიც გვქონდა. ასეთი, დაახლოებით 200 მედიკამენტია, რაც შემდეგნაირად შევარჩიეთ: გასული წლების განმავლობაში, თურქეთიდან წამლის შემოტანა მხოლოდ ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ფორმა 100-ის საფუძველზე შეეძლო მოქალაქეს. აქედან გამომდინარე, რაც აქამდე შემოდიოდა, 200-მდე მედიკამენტია და უკვე გამარტივებული, პარალელური რეჟიმით შემოვა საქართველოში და უფრო ხელმისაწვდომი იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის. თურქეთის ბაზრის გახსნასთან ერთად, გვაქვს სამოქმედო გეგმა ფარმაცევტული ბაზრის კიდევ უფრო გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. ეს გეგმა ვადებში მკაცრად გვაქვს გაწერილი.**

პირველი მარტიდან ელექტრონული რეცეპტების სავალდებულო რეგისტრაცია შემოვიღეთ, რაც ჩვენს ბაზაში აისახება და დავინახავთ, ვინ რა მედიკამენტს წერს. ანალიტიკის საფუძველზე, გვაქვს ის ინფორმაცია, რაც დაგვეხმარება ბაზრის კიდევ უფრო დარეგულირებაში, კარგად გაკონტროლებაში. მაგალითად, მიკერძოებულად მედიკამენტების გამოწერის, ან ჭარბი რაოდენობის გამოწერის შემთხვევაში დღეისათვის უკვე გვაქვს ბერკეტები, როგორ უნდა ვმართოთ.

შემდეგი ეტაპია მხოლოდ გენერიკული მედიკამენტების გამოწერა. აპრილიდან მომხმარებელს თავისი სურვილის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღების საშუალება ექნება და არა მაგალითად, პირდაპირ რომელიმე ქვეყნის წარმოებული, რომელიმე ბრენდის ყიდვის აუცილებლობა, რასაც ექიმი აქამდე უწერდა. ყველა ეს ეტაპი წლის ბოლომდე უნდა გავიაროთ და საერთო ჯამში, კარგად დარეგულირებულ, გამჭვირვალე ფარმაცევტულ ბაზარს მივიღებთ, რაც აუცილებლად აისახება ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე“, – განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, თურქული მედიკამენტების სადაზღვევო პაკეტებში ჩასმა ჩვეულებრივ მოხდება:

„თურქული მედიკამენტები ყველა წესისა და ქართული კანონმდებლობის დაცვითაა რეგისტრირებული და შესაბამის ბაზებშია ასახული. არანაირი საფუძველი იმის, რომ ეს მედიკამენტები ვინმემ არ აანალიზაროს, არ არსებობს. ამას გავაკონტროლებთ“, – დასძინა აზარაშვილმა.

თამარ ვეფხვაძე

...რამდენიც არ უნდა იძახონ, რომ უკრაინაში შეჭრა ეს არის მხოლოდ პუტინის დანაშაული, სინამდვილეში, ეს არის რუსი ერის დანაშაული და მას მოუწევს ძალიან მძიმე ჯვრის ტარება მრავალი ათწლეულის განმავლობაში, ისევე როგორც გერმანელმა ერმა ატარა ნაცისტური რეჟიმის გასამართლების, ნიურნბერგის პროცესის შემდეგ მძიმე ჯვარი. გერმანელები დღემდე იხდიან გოდიშს, სეპარატიებს, თანხებს იმისთვის, რომ მათ დააზარალეს მთელი მსოფლიო. ზუსტად ასეთი რამ მოუწევს რუსეთს, იმ რუსეთს, რომელიც დარჩება, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ექსპერტი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში, თადარიგის პოლკოვნიკი **აკია ბარბაქაძე.**

აკია ბარბაქაძე: ეს არის რუსი ერის დანაშაული!

– უკრაინის დაზვერვის სამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუს სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში პრობლემებია დიდი დანაკარგის გამო და ისინი ომის შეჩერებას ცდილობენ. თუმცა მხოლოდ პუტინი და თავდაცვის მინისტრი შოიგუ არიან ომის მომხრეები. რამდენად შესაძლებელია ამ ორ ადამიანშიც გარდატეხა მოხდეს ამდენი მსხვერპლის შემდეგ? ხომ შეიძლება, რუსეთში უკვე ფიქრობენ, რომ უკრაინელების ხელით მათ ნატოსთან უწევთ დაპირისპირება?

– ნატო ამ საკითხში არ ერევა, ნატო მხოლოდ უზრუნველყოფს უკრაინელებს და მხოლოდ უკრაინელები იბრძვიან. ამას გარდა, უკრაინაში არის უცხოური ლეგიონი და მთელი მსოფლიოდან ჩადიან მოხალისეები, მათ შორის, ქართველებიც. რაც შეეხება იმას, რომ მხოლოდ პუტინი და შოიგუ არიან ომის მომხრეები, სინამდვილეში, რუსი მოსახლეობის 965 მხარს უჭერდა პუტინს და მის მთავრობას. სულ მცირე, რუსეთში 3-დან 55-ია, რომელიც აპროტესტებს ამ ომს, მათ იჭერენ და ცემენ. ძირითადი მასა უკრაინის ომს არ ეწინააღმდეგება. წინააღმდეგნი თუ არიან, მაშინ რატომ არ აპროტესტებენ საომარ მოქმედებებს უკრაინაში? სამხედროებს, ვინც უშუალოდ ომობს და წინა ხაზზეა, შეიძლება მართლაც არ უნდოდეთ ომი, რადგან ხედავენ, რომ ისინი იღუპებიან და თვითგადარჩენის ინსტინქტი აქვთ, მაგრამ მათი ხელმძღვანელობა, პირიქით, ცდილობს, უფრო გააფართოვოს და უცხოელი ლეგიონერებიც ჩართოს უკრაინის წინააღმდეგ, მათ შორის, სირიელები, ბელორუსები, კვაზი რესპუბლიკების წარმომადგენლები – აფხაზეთიდან, ცხინვალიდან და კადიროვის რაზმელები.

– საომარი ჟინი ახლა უკრაინელებში ძლიერია, მაგრამ როდესაც რუსები ჩართავენ „მოხალისე“ ისლამისტებს, რა ეტაპზე გადავა ბრძოლა?

– თუკი რუსებმა გენერალური შეტევა დაიწყეს კიევზე, ქალაქს მთლიანად გაანადგურებენ, თანამედროვე სტალინგრადად აქცევენ. როგორც სირიაში ალეპო გაასწორეს მიწასთან, ისე უპირებენ კიევსაც, ეს იქნება სისხლისმღვრელი ომი, მაგრამ ბოროტების ღერძი, რომელსაც ახლა პუტინი ქმნის მოკავშირეებთან ერთად, დამარცხდება.

– ცალკეული ადამიანები ამტკიცებენ, რომ რუსეთი დაშლის პირასაა. თუკი ეს ასეა, მაშინ რატომ იცლიან იმისთვის, რომ ბევრად მეტი ძალით შეუტიონ კიევს? ამის ფინალი რა იქნება?

– რუსეთის ხელისუფლება გაჯიუტებულია, მათ არ უნდათ, უკან დაიხიონ და აღიარონ, რომ წააგეს ომი და ეს ავანტიურა დიდი შეცდომა იყო. ეს არ არის რუსეთის ინტერესი, ეს არის იმ კლეპტოკრატების ინტერესი, რომლებიც დიდი ხანია, ძარცვავენ რუსეთს და სახელმწიფოს ინტერესიდან არ გამოდიან. ეს არის მათი ძალების უკანასკნელი მობილიზაცია, რომ შეტევა განახორციელონ კიევზე, დაამხონ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და დასვან თავიანთი მარიონეტული ხელისუფალი. თუმცა მტერი დიდი ხანია, თავის მიზნებს ვერ ახორციელებს. 20 დღეა გაჭედილნი არიან ამ შეცდომაში, უკან დასახევი, პრინციპში, არც აქვთ, რადგან ჰააგის ტრიბუნალი ელოდებათ იმ სიმხეცის და ბარბაროსობის გამო, რაც მოაწყეს უკრაინაში. მშვიდობიანი მოსახლეობა ჟენევის კონვენციის მიერ აკრძალული შეიარაღებით მოსპეს და გაანადგურეს. მათ უნდათ, მოლაპარაკებებზე დასხდნენ რაიმე კოზირით,

ყველა შესაძლო ძალით კიევი აიღონ და ეს იყოს მათთვის კოზირი.

– მხოლოდ ერთ კვირაში ზელენსკიზე თავდასხმის სამი შემთხვევა ყოფილა. ეს არ ნიშნავს, რომ ზელენსკის განეიტრალებაზე ხელს აიღებენ ოკუპანტები. გაქვთ მოლოდინი, რომ ზელენსკის მიმართ ღალატს არ გამოავლენს რუსი მოსახლეობა, რომელიც უკრაინაში ბლომად ცხოვრობს?

– ასეთი რამ ახასიათებს მსგავსი მასშტაბის ომებს. მხოლოდ ღალატი არ არის, შესაძლოა, რუსებს იქ დივერსიული ჯგუფებიც ჰ ყავდეთ, იმის მსგავსნი, საქართველოში რომ ჩამოდიან ახლა. ხომ არის იმის ალბათობა, რომ საქართველოში ჩამოსული რუსები სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყვნენ? როდესაც მიიღებენ ბრძანებას, ხომ შეიძლება საქართველოში სტაბილური ვითარება აგვირიონ?

– ზელენსკი მოუწოდებს რუსი ჯარისკაცების დედებს, წაიყვანონ თავიანთი შვილები უკრაინიდან, თუ არ უნდათ, ისინი დაიღუპონ ან ტყვედ ჩავარდნენ. თუმცა რუსეთში პუტინის დიქტატურაა, პუტინი მათ ნებას დართავს უკრაინაში შვილების წამოსაყვანად ჩავიდნენ?

– რუსი მშობლები ჩავლენ უკრაინაში და მათ გადასცემენ შვილებს. თუ რუსეთის ხელისუფლება არ გაუშვებს მშობლებს შვილების წამოსაყვანად, ეს იქნება პუტინის ბრალეულობა და კიდევ ერთი განხეთქილება მოუმზადებელი ახალწვეულების, საზარბაზნე ხორცად ქცეული ახალგაზრდების მშობლებსა და ხელისუფლებას შორის. რაც შეეხება რუსეთის დაშლას, მათ წინააღმდეგ დაწესებული სანქციები ძალიან მოწყვლადს ხდის რუსეთს. ის სამხედრო მარცხი, რომელიც რუსებმა უკრაინაში განიცადეს და რომელსაც მომავალში კიდევ უფრო განიცდიან, თუ არ შეწყვეტენ ომს, გაღრმავდება. უკრაინელებს უკან დასახევი არ აქვთ, ისინი საკუთარ მიწა-წყალს იცავენ, მათ სხვა გამოსავალი არ დაუტოვეს. რუსეთი სერიოზული დეფოლტის წინაშე აღმოჩნდება, ჯარი გაწყვეტილი ეყოლება, შემდეგ დაიწყება დამარცხებული ჯარის სინდრომი, ეკონომიკურ-სოციალური პრობლემები, უმუშევრობა. სიდუხჭირე დაისადგურებს რუსეთში. რა თქმა უნდა, ეს გააჩენს შიდა რღვევას ძალით შეკოწიწებული იმპერიის შიგნით და ვნახავთ მერე, კადიროვი როგორ მოიქცევა, ჩრდილო კავკასია როგორ მოიქცევა, იაპონია, ფინეთი, ჩინეთი, ანუ პრეტენზიები ვისაც აქვს რუსეთის მიმართ, დასუსტებულ რუსეთს როგორ მიუდგებიან. ეს არის ძალიან დიდი პროცესის დასაწყისი, სადაც რუსეთი განწირულია.

– უკრაინა დაჟინებით ითხოვს არასაფრენ ზონად მისი ტერიტორიის გამოცხადებას, რასაც ნატო არ თანხმდება. ნატო გამუდმებით იმეორებს, რომ უკრაინა-რუსეთს შორის კონფლიქტში არ ჩაერევა, მაგრამ ცალკეული ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ ნატო საბოლოოდ აღმოჩნდეს ამ კონფლიქტში ჩართული. რა შემთხვევაში მოხდება ნატოს ჩართვა?

– ნატო ყოველნაირად ცდილობს, ამ კონფლიქტში არ ჩაერიოს, თუ რუსეთმა რაღაც საშინელება არ ჩაიდინა, ან ტაქტიკური ატომური ბომბი, ან ბიოლოგიური იარაღი არ გამოიყენება, ან რომელიმე ატომური ელექტროსადგური არ დააზიანა, ანუ კონტინენტური მასშტაბის ეკოლოგიური კატასტროფა არ გამოიწვია. ყველაფერი რუსეთის ქცევაზეა დამოკიდებული, რადგან ისინი არიან დამპყრობლები, დამნაშავეები, საერთაშორისო კანონის ჩარჩოდან გამოსულნი, ისინი არღვევენ მსოფლიო წესრიგს და მოთხოვნა მათ მიმართ ერთია, დატოვონ უკრაინის ტერიტორია. ისინი კი ამბობენ, ჩვენ არ დავტოვებთ უკრაინას, ყირიმი ჩვენია, დონბასი, ლუგანსკი ჩვენია, ეს მინიმუმ, და ახლა კიევის აღებაც უნდათ. ეს არის ულტიმატუმი, რომ უკრაინამ კაპიტულაცია გამოაცხადოს, რაზეც უკრაინა არ წავა და ბოლომდე იბრძოლებს. მთლიანობაში, ეს იქნება რუსეთისთვის სამწუხარო პროცესის დასაწყისი, რომელსაც ის ვერ მოერევა. ვიმეორებ, რუსები ახლა შეეცდებიან კიევის აღებას, მაგრამ კიევში მარტივად ვერ გაისეირნებენ, ჰიტლერის სტალინგრადად იქცევა მათი მცდელობა. რამდენიც არ უნდა იძახონ, რომ ეს არის მხოლოდ პუტინის დანაშაული, სინამდვილეში, ეს არის რუსი ერის დანაშაული და მათ მოუწევთ ძალიან მძიმე ჯვარის ტარება მრავალი ათწლეულის განმავლობაში, როგორც გერმანელმა ერმა ატარა ნაცისტური რეჟიმის გასამართლების, ნიურნბერგის პროცესის შემდეგ მძიმე ჯვარი. გერმანელები დღემდე იხდიან გოდიშს, იხდიან თანხებს იმისთვის, რომ მათ დააზარალეს მთელი მსოფლიო. ზუსტად ასეთი რამ მოუწევს რუსეთს, იმ რუსეთს, რომელიც დარჩება.

– სად უფრო სასტიკად იქცეოდა რუსეთი – აფხაზეთში, სამაჩაბლოში თუ უკრაინაში?

– უკრაინაში უკვე ნიღაბი აქვს ჩამოხსნილი რუსეთს, ვერავის რუსი ვეღარ ეფარება, თორემ აფხაზეთში მის მიერვე დაფინანსებული და შექმნილი სეპარატისტული რეჟიმის უკან მოქმედებდა და თვითონ ჰქონდა მშვიდობისმყოფელის მანტია მორგებული. ყველას გვახსოვს სისასტიკეები გაგრაში, ორსულ ქალებზე საბურავების ჩამოცმა, ცეცხლის წაკიდება და დაწვა, ეთნოწმენდა, წამება, დახოცვა. გალის მოსახლეობა 30 წელიწადში რა მდგომარეობაში ჩაყენეს, როგორ უუფლებოდ არის ეს ხალხი, ყოველდღიური შეურაცხყოფა, წამება, ყაჩაღობა, გაუპატიურება, მკვლელობა. ცხინვალის რეგიონში სხვანაირად იქცევა რუსეთი? ბორდერიზაცია, მცოცავი ოკუპაცია შეწყვიტა? ყოველ კვირას იტაცებენ მშვიდობიან მოსახლეობას, აწამებენ, ცემენ, კლავენ, ფულს ითხოვენ, როგორც ტერორისტები. მე მიკვირს, საქართველოში ამდენი მომხრე და პუტინის გულშემატკივარი საიდან გაჩნდა? აშკარად თავს ვერ იკავებენ, გულშემატკივრობენ პუტინს და მის ფაშისტურ რეჟიმს, იმპერიული ფაშიზმის მანქანას, რომელიც მშვიდობიან მოსახლეობას ანადგურებს. ჯერ ჩვენით დაიწყო განადგურება, თავხედური მოქმედება და კვაზი სახელმწიფოებად საქართველოს ტერიტორიების აღიარება. 2008 წლიდან რუსეთმა ნიღაბი მოიხსნა და ღიად ჩაერთო ომში, როგორც ოკუპანტი. 2008 წელს ყველაფერი გამოიყენა, რაც აკრძალული იყო – კასეტური ბომბები, ზედმეტი ძალაც, ეთნოწმენდაც, შემოიჭრა საქართველოში, გორი დაანგრია, სამოქალაქო შენობებს ესროლა. ამიტომაც სტრასბურგის სასამართლომ რუსეთი დამნაშავედ ცნო ომის დაწყების გამო და ჟენევის კონვენციამ ომის კანონების დარღვევასა და არაადამიანურ მოპყრობაში დამნაშავედ აღიარა. კონკრეტულ პირებზე დაკავების ორდერიც გამოწერა....

ესაუბრა
მანანა ნოზაძე



(ბორის აკუნინი) გრიგორი ჩხარტიშვილი:

არ მინდა, რუსეთი დამარცხდეს, მინდა, პუტინის სახელმწიფო დამარცხდეს!

– როგორ და რატომ მოხდა ისე, რომ რუსეთი და რუსი ხალხი, თავისი დიდი კულტურით, მძევლად ჰყავს აყვანილი კაცს, რომელიც ემუქრება მსოფლიოს ბირთვული იარაღის გამოყენებით და გასცემს ბრძანებებს უკრაინის ათობით მშვიდობიანი ქალაქის დაბომბვის შესახებ? როგორ შეგვეძლო ამის დაშვება?

„რადიო თავისუფლების“ რედაქციამ ამ და სხვა კითხვებით მიმართა ცნობილ რუს მწერალს გრიგორი ჩხარტიშვილს, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის უფრო მეტად ცნობილია თავისი ლიტერატურული ფსევდონიმით – ბორის აკუნინი.

ბორის აკუნინი: აბსოლუტურად სწორი შეკითხვაა, რომელსაც ახლა ყველა საკუთარ თავს ვუსვამთ და რომელსაც სხვები გვისვამენ ჩვენ. ჩვენში – ვგულისხმობ იმ რუსებს, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთის ფარგლებს გარეთ. ძალიან ტრავმულ სიტუაციაში აღმოვჩნდით (რუსული ენისა და რუსული კულტურის ხალხზე მაქვს საუბარი). რასაკვირველია, ეს ვერ შეედრება უკრაინელების ტრაგიკულ მდგომარეობას, რომლებსაც ახლა კლავენ, ესვრიან, სახლებიდან აძევებენ. ეს უზარმაზარი ტრაგედიაა, მაგრამ მე მჯერა, რომ როდესაც ეს ომი დასრულდება (და მე ვფიქრობ, რომ მისი მწვავე ფაზა დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს), უკრაინა და უკრაინელები კარგად იქნებიან და მათ მთელი მსოფლიო დაეხმარება. უკრაინელებმა მთელ მსოფლიოს აჩვენეს, რომ უკრაინა ნამდვილი, ძლიერი სახელმწიფოა. ისინი პატივისცემას იმსახურებენ თავიანთი გამძლეობისა და სოლიდარობის გამო. უკრაინაში ცხოვრება სულ უფრო უკეთესი და უკეთესი იქნება, ხოლო რუსეთში ცხოვრება, სამწუხაროდ, აწი სულ უფრო და უფრო გაუარესდება, რადგან ვლადიმირ პუტინმა, რომელსაც ეგონა, რომ უკრაინის სახელმწიფოს ანგრევდა, სინამდვილეში, დაანგრია რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო. ყველაზე უარესად კი ისინი იქნებიან, ვინც პუტინის მძევლებად იქცნენ, ვინც რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან. მძიმე იქნება მათი ყოფა და დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო დამძიმდება, თუმცა რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ხალხისთვისაც არ იქნება იოლი. ყბადაღებული რუსოფობია, რომელიც აქამდე პროპაგანდისტების, ნაციონალისტების და ყველა ჯურის იდიოტების გამოგონება იყო, უკვე ფაქტად იქცა. თანაც, ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს ცუდი რეპუტაცია დამსახურებულია. ჩვენ ნამდვილად ვართ დამნაშავე იმაში, რომ რუსეთს მივეცით საშუალება, ჩავარდნოდა ხელში ადამიანს, რომელიც თავს დაესხა უკრაინას და ემუქრება მსოფლიოს გირთვული ომით.

– შეგიძლიათ საკუთარ თავს გამოუტყდეთ იმაში, როგორც ამას ზოგიერთი ექსპერტი აკეთებს, რომ უკრაინას დაესხა არა პუტინი, არამედ რუსეთი? ყველა გამოკითხვა, მათ შორის ქუჩისა, აჩვენებს, რომ მოსახლეობა მხარს უჭერს და მხურვალედ მიესალმება ძმათამკვლელ ომს. რას იტყვით ამაზე?

– ჯერ ერთი, არათავისუფალ ქვეყანაში ადამიანები არ არიან გულწრფელები. ხშირად ერთს ამბობენ და მეორეს ფიქრობენ. როგორც საბჭოთა კავშირში გაზრდილ ადამიანს, კარგად მახსოვს, როგორ მუშაობს ეს. მეორეც, მასობრივი ცნობიერება სწრაფად არ იხსნება. თანაც ხალხი ჯერჯერობით ძირითადად უყურებს სურათს, რომელსაც მას ტელევიზორით უჩვენებენ. იმ შედეგებსაც, რასაც აუცილებლად გამოიწვევს პუტინის მიერ საკუთარ ქვეყანაში მოწყობილი ეკონომიკისა და პოლიტიკის ნგრევა, ეს ხალხი მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეეჩეხება, რაც გამოიხატება ინფლაციაში, ფასების მატებაში, უმუშევრობაში, ცარიელ მაღაზიებში, მუდმივად მზარდ სახელმწიფო ტერორში. ყველა მხრიდან მწერენ, იხსენებენ დროს, როცა ოთხი მილიონი დასმენა დაიწერა, ახლა კი ცდილობენ ინტერნეტში გამოიჭირონ მოქალაქეები: ვინ სად დასვა „ლიკე“ , ვინ რა ნახა და ამის შესახებ მოამზადონ პატაკები. საკმარისია ამგვარი ატმოსფეროს შექმნა საზოგადოებაში და ყოველთვის მოიძებნებიან ნაძირალები და ანგარებიანი ადამიანები, რომლებიც ისარგებლებენ ამით. მთელმა მსოფლიომ უნდა გაიაზროს, რომ რუსეთის განახლების, ნორმალურ სახელმწიფოდ გადაქცევის ერთადერთი იმედი რუს ხალხთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ დიქტატორის გადაგდება მხოლოდ საკუთარ მოსახლეობას, მხოლოდ საკუთარ ხალხს შეუძლია.

– რამდენად სწორია პარალელები 1930-იანი წლების გერმანიასთან: დამარცხება პირველ მსოფლიო ომში, აქ კი სსრკ-ს დაშლა და საბჭოთა ეკონომიკის კოლაფსი; ჰიტლერი და მისი შურისძიება ნაცისტური იდეოლოგიის დახმარებით, აქ კი პუტინი და მისი იმპერიული შურისძიება უკრაინის კოლონიზაციის მცდელობით? საერთო მნიშვნელი - ფართომასშტაბიანი ომი ევროპის ცენტრში...

– არაკორექტული პოლიტიკური პარალელია. ვითარება ვაიმარის გერმანიაში და ის მდგომარეობა, რომელშიც რუსეთი 2022 წელს იყო – ორი, ერთმანეთთან შეუდარებელი რამ არის. რუსეთი, რომელიც 2022 წელს დაესხა უკრაინას, სულ სხვა ვითარებაში იყო. კერძოდ, არ იყო როგორც ეკონომიკური სასოწარკვეთა, ასევე ტოტალური შინაგანი სოციალური გამძვინვარება. ყველაფერი მეგალომანიისა და ერთი ადამიანის ილუზიების პროდუქტია. მთელი ეს ომი, ეს კონსტრუქცია, მთელი ეს რაღაც ფეიკ-უკრაინა იშვა იმ ერთი ადამიანის თავში, რომელიც გადაწყვეტილების ერთადერთი მიმღებია მთელ ქვეყანაში. ეს ომი პუტინის ომია უკრაინასთან და მთელ მსოფლიოსთან.

– აუცილებელია თუ არა რუსეთის სრული მორალური და სამხედრო დამარცხება ნორმალური ევროპული საზოგადოების ასაშენებლად, აპოკალიფსის და კათარზისის გავლა?

– არა. მე არ მინდა რუსეთი დამარცხდეს. მე მინდა, რომ პუტინის სახელმწიფო დამარცხდეს და პუტინის სახელმწიფოს დამარცხება უკვე მოხდა, თუნდაც მისმა არმიამ მოიგოს გარკვეული ბრძოლები მიწაზე, თუნდაც აიღოს კიევი... ჯერჯერობით, მას არ აქვს არანაირი გამარჯვება და ბლიცკრიგიც ჩავარდა. მთავარ ომში – პოლიტიკურში, ეკონომიკურში, იმიჯურში, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანია – უკვე დამარცხდა. ეს ომი წაგებულია. ეს სახელმწიფო განწირულია. შემდგომი საკითხები – დროისა და ფასის საკითხებია: რა დაჯდება ამ სახელმწიფოს გარდაქმნა სხვა რუსეთად, რომელიც ნამდვილად აღარ იქნება პუტინის რუსეთი.

– ვიდრე ჩვენ ვსაუბრობთ, ამ დროს ხალხი იღუპება და საშინელი ომი მიმდინარეობს. რუსი მფრინავი ყირიმიდან ბომბავს ტერიტორიას, სადაც მისი დედა ცხოვრობს. ეს პილოტი უკრაინის საჰაერო თავდაცვამ ჩამოაგდო და ტყვედ აიყვანა. ახლა დედა ამბობს, მრცხვენია, რომ ოკუპანტი გავზარდეო. ამ ქალის ვიდეო ინტერნეტში გამოქვეყნდა. ქაჩავს ეს ამბავი ანტიკურ ტრაგედიამდე?

– ეს ამაზრზენი ამბავია. არ მესმის, რა ხდება ამ ხალხის თავში. ალბათ ეშინიათ თავიანთი მეთაურების ან საერთოდ არაფერზე არ ფიქრობენ. წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდება რომელიღაც ოფიცრის თავში, რამდენად არის მისი ტვინი დაბინდული, რომ შეუძლია დაბომბოს უკრაინელები, რომ საარტილერიო ჭურვები დაუშინოს მათ. პუტინის რეჟიმის მთავარი დამნაშავეები ტელევიზიის პროპაგანდისტები არიან. მათ შექმნეს სამყაროს აბსოლუტურად ყალბი და აგრესიული სურათი.

– დაახლოებით 18-მა მილიონმა ადამიანმა უყურა თქვენს საუბარს იური დუდთან. იქ ამბობთ: „ამ რამდენიმე დღეში სიტყვა „რუსეთი და რუსები“ ტოქსიკური გახდა მთელი მსოფლიოსთვის, გახდა სალანძღავი. აქამდე ასეთი რამ არასდროს ყოფილა“ . როგორ დავაღწიოთ თავი ამ სიძულვილს? არ არის გამორიცხული, რომ სახეში ფურთხება დაიწყონ.

– პირველ რიგში, საჭირო მოქმედება, დახმარება. მეორეც, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ, უნდა ავუხსნათ მთელ მსოფლიოს ჩვენი ქმედებებითა და სიტყვებით, რომ პუტინი არ არის რუსეთი, რომ ის რუსეთის მტერია, რუსეთისა, რომელიც დიქტატორის დროებითი ოკუპაციის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ჩვენ ცოცხლები ვართ, ჩვენ ვებრძვით ამ დიქტატურას. საბოლოოდ კი ჩვენ ყველანი ერთად მივაღწევთ იმას, რომ რუსეთი გამოჯანმრთელდება.

– ბოლო 100 წლის განმავლობაში, არ აქვს მნიშვნელობა, ვის ირჩევდნენ ან ვინ ხელმძღვანელობდა ქვეყანას, იქნებოდა ეს ლენინი, სტალინი თუ ხრუშჩოვი, ყველა ცდილობდა ისტორიის მუხლზე გადამტვრევას. ალექსეი ნავალნიც კი, რომელიც ახლა ციხეშია, თუ გადარჩება, ხელისუფლებაში რთული გზით მოხვდება. ნუთუ განწირულები ვართ იმ ადამიანების მმართველობისთვის, რომლებიც ისტორიას უხეშად ცვლიან? ვერასოდეს მოვესწრებით ჩვეულებრივ პრეზიდენტ-მენეჯერს, რომელიც დაკავებული იქნება მიმდინარე პრობლემების გადაჭრით?

– ამისთვის რუსეთმა, როგორც სახელმწიფომ, თავისი ფორმატი უნდა შეცვალოს. ფორმატი, რომელშიც ის არსებობს 500-ზე მეტი წლის განმავლობაში, ზეცენტრალიზებული სახელმწიფოსი, რომელშიც ყველა გადაწყვეტილება მიიღება სამეფო სასახლეში, გენერალური მდივნის ან პრეზიდენტის კაბინეტებში და, რომელიც პრინციპულად არ გულისხმობს დემოკრატიულ მოწყობას. როგორ უნდა ცხოვრობდეს ხალხი ვლადივოსტოკში, რატომღაც, კრემლის ოფისში უნდა გადაწყდეს. რუსეთი ნამდვილ ფედერაციად უნდა იქცეს. რუსეთი უნდა დემოსკოვიზდეს. ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული იქ, სადაც ეს ადამიანები ცხოვრობენ. როცა რუსეთი ნამდვილ ფედერაციად გადაიქცევა, მაშინ შესაძლებელი იქნება დემოკრატიაც, კანონის უზენაესობაც და ნორმალურად მომუშავე როგორც პარლამენტი, ასევე პრესა. ამისათვის აუცილებელია შეგნებული ძალისხმევით შეიცვალოს რუსეთის კონსტიტუცია. სხვათა შორის, ალექსეი ნავალნის პროგრამაში ფედერალიზაციის საკითხი ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას. მოკლედ, ეს იდეა ზედაპირზეა. დიდი იმედი მაქვს, რომ რუსეთის სახელმწიფოს შემდეგი ფორმატი ზუსტად ასეთი იქნება.

– რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების 200-მა რექტორმა ხელი მოაწერა ომის მხარდამჭერ მიმართვას. რა არის ეს – კომფორტის ზონიდან გამოსვლის შიში თუ მრწამსი?

– ეს რექტორები თავისუფლებაშეზღუდული, ყმებივით ხალხია. ან მოაწერენ ხელს ამ წერილს, ან მოისვრიან დაკავებული თანამდებობებიდან, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ პუტინის მმართველობის წლებში ისინი სრულიად არაშემთხვევითი გზით შეირჩნენ. არ ღირს ამისთვის ყურადღების მიქცევა. ჩვეულებრივი ჩინოვნიკები არიან. უთხრეს – მოაწერეს ხელი.

– როგორ მოგწონთ ახალი თაობა, რომელიც ქუჩაში გამოდის? ეს ხალხი შეცვლის ქვეყანას? თუ მაინც ველოდებით რაიმე სახის რევოლუციას ზემოდან?

– აღფრთოვანებული ვარ. ისინი იმაზე ბევრად უკეთესები არიან, ვიდრე იყვნენ ჩემი თანატოლები მათ ასაკში. რაც უნდა ვთქვათ, წლების განმავლობაში ინფორმაციის თავისუფალმა ნაკადმა, ჩამოაყალიბა თავისუფალი ადამიანები. მჯერა, რომ მათ ყველაფერი ჩვენზე უკეთესად გამოუვათ.

მუმინ შაკიროვი

გერჰარტ ბაუმი:

არის შანსი, პუტინი გერმანულ ციხეში მოხვდეს!

რუსეთის პრეზიდენტი ომის დანაშაულების გამო არა მხოლოდ ჰააგაში, არამედ გერმანულ სასამართლოშიც უნდა გასამართლდეს, — ასე ფიქრობენ გერმანიის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი გერჰარტ ბაუმი და ორგზის იუსტიციის მინისტრი საბინე შნარენბერგერი. ისინი მიუთითებენ განაჩენზე, რომელსაც ისტორიულს უწოდებენ.

უნივერსალური იურისდიქციის პრინციპზე დაყრდნობით, 2022 წლის დასაწყისში კობლენცის რეგიონალურმა სასამართლომ სირიის ორი მოქალაქე დამნაშავედ ცნო სირიაში ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების — მათ შორის წამების გამო. ერთ-ერთ მსჯავრდებულს, ანვარ რასლანს, რომელიც 2012 წლიდან გერმანიას აფარებდა თავს, როგორც დევნილი, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

„პრეზიდენტმა პუტინმა და რუსეთის სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლებმა თავიანთი ქმედებებისთვის პასუხი უნდა აგონ, ხოლო იმისთვის, რომ პუტინი სასამართლოს წინაშე წარდგეს — ამჟამად ორ გზას ვხედავთ. ერთია ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომელმაც უკვე დაიწყო მოკვლევა. მაგრამ ჩვენ კონცენტრირებულნი ვართ ჩვენსავე, გერმანულ სამართალზე, რომელიც, საბედნიეროდ, უფლებას გვაძლევს უცხოელის წინააღმდეგ აღიძრას საქმე სხვა ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულების გამო.

ამიტომაც, მე და ჩემმა კოლეგამ, ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა, გადავწყვიტეთ კარლსრუეში, გერმანიის პროკურატურისთვის მიგვემართა სარჩელით, რომ დაიწყოს გამოძიება იმ ხალხის მიმართ, ვინც დღეს რუსეთსა და რუსულ არმიაში გადაწყვეტილებებს იღებს. ჩვენი გამოძიება ჰააგის გამოძიების პარალელურად გაიმართება. პრეცედენტი უკვე გვაქვს — საქმეები ავღანეთსა და სირიაში ჩადენილ დანაშაულებზე“, — ამბობს გერჰარტ ბაუმი, ვეტერანი გერმანელი პოლიტიკოსი, რადიო თავისუფლებასთან ინტერვიუში.

— როგორ გგონიათ, როგორია შანსები, რომ თქვენი სარჩელი წარმატებული აღმოჩნდეს?

— რაც პუტინმა ჩაიდინა, იმას გამართლება არ აქვს — ყოველდღე ვხედავთ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს უკრაინაში. ახლა ფაქტების შეგროვების ფაზაში ვართ, რაც უმნიშვნელოვანესი ეტაპია, ვაგროვებთ მოწმეებს. ბევრი ლტოლვილი გვყავს გერმანიაში, რომლებიც ან თავად იყვნენ დანაშაულის მსხვერპლები, ან შეესწრნენ დანაშაულს. ეჭვი არ მეპარება, რომ ხპუტინის წინააღმდეგჯ ჩვენი სარჩელი წარმატებული იქნება.

— და თუ თქვენი სარჩელი წარმატებული იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ პუტინს...

— სასჯელს მიუსჯიან.

— და? გერმანიაში თუ აღმოჩნდება, დაეპატიმრებენ?

— ჩატარდება ტრადიციული პროცესი, სადაც ბრალს წაუყენებენ. შემდეგ, თუ ბრალი დაუმტკიცდა, დაიდება განაჩენი. წინა შემთხვევაში დამნაშავეები იქვე დააპატიმრეს, და მათ მრავალი წლის გატარება მოუწევთ ციხეში.

— ანუ თუ განაჩენი დაიდება, პუტინი და მისი გარემოცვა გერმანულ ციხეში ჩასხდებიან.

— არის ამის შანსი. პირადად ჩემთვის, ეს ღირსების საქმეა — მე ვიცი, ვინ გასცა მარიუპოლში სამშობიაროს დაბომბვის ბრძანება. და ჩვენი სამართლებრივი ნორმა მას მიესადაგება, რადგან სწორედ ის არის მთავარი პასუხისმგებელი პირი ამ საომარ ვითარებაში, როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო ლიდერი, რომელმაც სრული პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს.

— კიდევ ერთი სახელია, რომელიც დღეს გერმანიასა და რუსეთთან ერთნაირად მძაფრად ასოცირდება — გერჰარდ შრიოდერი. დიდი ხანია იცნობთ — რას ფიქრობთ მასზე?

— შრიოდერზე სასამართლოში საქმეს ვერ აღვძრავთ მისი პოლიტიკური მოსაზრებების გამო, მაგრამ გერმანიაში არავის აქვს ილუზიები, თუ ვის მხარეზეა შრიოდერი. პუტინს ემხრობა, რადგან პუტინი „აჭმევს“. გერმანიაში საყოველთაო კრიტიკის ქვეშაა.

— როგორც ჩანს, ახლახან შეხვდა პუტინს, თანაც უკრაინული მხარის თხოვნით, როგორც სამშვიდობო შუამავალი. რას მოიტანს შრიოდერის „მშვიდობის მოციქულობა“?

— ჩემი აზრით, ვერც ვერაფერს. ეს არაფერს შეცვლის. პუტინი ყურს არ დაუგდებს შრიოდერს — ის არავის უსმენს, როგორც ჩანს, თავისი გზა საბოლოოდ აირჩია და არა მგონია, ვინმემ ლაპარაკით გააჩეროს. ალბათ, რუს ხალხს შეუძლია, მაგრამ ისინი თავსაც კი ვერ წევენ მაღლა.

— გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზეც გკითხავთ — ვიხილეთ, შეიძლება ითქვას, კარდინალური ცვლილება რუსეთთან მიმართებით. რამდენ ხანს გასტანს ეს?

— ეს ფუნდამენტური ცვლილებაა საგარეო პოლიტიკაში. სრული შოკი იყო გერმანელი საზოგადოებისთვის, მაგრამ ეს არ არის მოკლევადიანი, ან თუნდაც რამდენიმეწლიანი ტაქტიკური სვლა. დარწმუნებული ვარ, რომ ამიერიდან გერმანიის სტრატეგიის, მისი საგარეო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი სწორედ ეს ცვლილება გახდება.

— და მიუხედავად ამისა, კანცლერი შოლცი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე გერმანია რუსულ გაზს ვერ შეელევა...

— ეს ურთულესი საკითხია ჩვენთვის. არ ვიცით, როგორი იქნება შედეგები გერმანელი ხალხისა და გერმანული ეკონომიკისთვის, თუკი ამ ნაბიჯს გადავდგამთ. თუ შეგვიძლია ამის გაკეთება, უნდა გავაკეთოთ. მაგრამ რა მოჰყვება ამას? ეს უნდა გავთვალოთ. ამერიკელებისთვის ადვილია, ჩვენთვის კი ძნელი, რადგან გერმანიის ენერგომოხმარება ფაქტობრივად რუსულ გაზსა და ნავთობზეა „მიბმული“.

— ფიქრობთ, რომ ამის დაშვება შეცდომა იყო?

— დიახ, ეს შეცდომა იყო, მაგრამ ახლა ვართ იქ, სადაც, ვართ — და ეს სადაც, არის ძალიან რთული ვითარება, რადგან ალტერნატივებზე მუშაობით თავს არ ვიწუხებდით. მიუხედავად ამისა, მომავალზე უნდა ვიფიქროთ — ვეცდებით, ეს გავაკეთოთ, მაგრამ ვშიშობ, რომ რუსული ენერგოდამოკიდებულებისგან სრულად განთავისუფლებას წლები დასჭირდება.

ვაჟა თავგერიძე

ზელენსკი ბუნდესტაგის უკმაყოფილოა

მოგმართავთ **სამი კვირის თავზე, მას შემდეგ, რაც რუსეთი დაუნდობლად ბომბავს ჩვენს ქალაქებს და ანადგურებს ყველაფერს — სკოლებს, საავადმყოფოებს, ეკლესიებს. ამ სამი კვირის განმავლობაში 108 ბავშვი დაიღუპა და ათასობით მოქალაქე დაშავდა რუსული აგრესიის შედეგად, სანქციები კი საკმარისი არაა, სანქციები დაგვიანებულია,** — ამ სიტყვებით მიმართა უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ გერმანიის ბუნდესტაგს.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა იმ გერმანულ კომპანიებსა და პოლიტიკოსებს, რომლებმაც, მისი თქმით, მორალური ვალდებულება რუსულ ფულზე მაღლა დააყენეს.

„ჩვენ ვხედავთ, რომ თქვენს ქვეყანაში არაერთი კომპანია ისევ ინარჩუნებს კავშირს რუსეთთან, ასე ხდება არაერთ სხვა ქვეყანაშიც. სამწუხაროდ, ყველა ვერ ხედავს, რა ხდება უკრაინაში, რადგან ჩვენს შორის ხელოვნურად კედელია აღმართულია. თქვენ შესანიშნავად იცით, როგორი მტკივნეული შეიძლება იყოს კედლის აღმართვა. უკრაინაში რუსული ბომბები ცვივა და მას ხალხი ეწირება. ხალხი იბრძვის, ყველა იბრძვის. ძვირფასო გერმანელებო, თქვენ შეგიძლიათ დახმარება, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი რამ არ ყოფილა ევროპაში. ესაა ახალი მსოფლიო ომის გარიჟრაჟი. ჩვენ გთხოვდით, რომ შეგეშვით ნატოში, მაგრამ გვითხარით, რომ ჯერ გადაწყვეტილება მაგიდაზე არ დევს. გააჭიანურეთ უკრაინის მიღება ევროკავშირში. ეს არის პოლიტიკა, მესმის, მაგრამ ახლა ომია და ნუ ვიფიქრებთ მხოლოდ ეკონომიკაზე, ნუ აღმართავთ ამ კედლებს ჩვენს შორის. რუსეთი არის ქვეყანა, რომელმაც ევროპაში ომის ხანა დააბრუნა“, — განაცხადა ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა ბუნდესტაგში სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა იმ ჰუმანიტარულ კრიზისზე, რაც უკრაინის ქალაქებშია შექმნილი.

ზელენსკიმ გერმანელ პოლიტიკოსებსა და დეპუტატებს მოუწოდა, რომ უკრაინელებსა და ევროკავშირს შორის აღმართული წარმოსახვითი კედელი გერმანიის მთავრობამ ჩამოანგრიოს.

„ყველასთვის ცნობილი, მეორე მსოფლიო ომის დროს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენებიდან 80 წლის თავზე, როცა პოლიტიკოსები ამბობდნენ, რომ მსოფლიომ ეს აღარ უნდა დაუშვას, ვხედავთ საზარელ სურათს უკრაინაში, ვხედავთ, როგორ ანადგურებს ერთი ერი მეორე ერს. რატომ გაფართოვდა თავის დროზე ნატო აღმოსავლეთით?! იმისთვის, რომ დაეცვათ ევროპის და მსოფლიოს უსაფრთხოება რუსული აგრესიისგან, მაგრამ ახლა ჩვენ ინტერვენციის მსხვერპლი ვართ. მადლობა გერმანიის ყველა მოქალაქეს, ვინც ლოცულობს უკრაინელებისთვის. მადლობა გერმანულ კომპანიებს, რომელთაც მორალური ფასეულობები ფულზე მაღლა დააყენეს. მადლობა მათ, ვისაც ესმის, რომ უკრაინა ევროკავშირის წევრი უნდა იყოს. ერთმა დიდმა ადამიანმა თქვა ბერლინში, ჩამოანგრიეთ ეს კედელი და ახლა მე მოგმართავთ, ბატონო კანცლერო, ჩამოანგრიეთ ეს კედელი და თქვენი შთამომავლები იამაყებენ ამით. შეაჩერეთ ომი. დიდება უკრაინას“, — განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ბუნდესტაგში.

ოლაფ შოლცი: მოვუწოდებ პუტინს, დაასრულოს ეს საშინელი ომი!

— **ამის** შესახებ განცხადება გერმანიის კანცლერმა, **ოლაფ შოლცმა** ფინეთის პრემიერ-მინისტრ სანნა მარინთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

„არავის სურს უკრაინაში რუსი დამპყრობლების ხილვა. უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობაც პუტინის შეჭრის წინააღმდეგია. ისინიც იბრძვიან სამშობლოს დასაცავად“, — განაცხადა გერმანიის კანცლერმა. გერმანიის მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა პოლონეთს და ევროპის სხვა ქვეყნებს, რომლებიც უკრაინელ ლტოლვილებს თავშესაფარს აძლევენ.

გერმანია ფინეთის განაცხადს მიესალმება

გერმანიის **კანცლერმა, ოლაფ შოლცმამ განაცხადა, რომ გერმანია ფინეთის ნატოში გაწევრებას მიესალმება.**

ფინეთის პრემიერ-მინისტრთან გამართულ პრესკონფერენციაზე კითხვაზე, დაუჭერს თუ არა გერმანია მხარს ფინეთს, თუ ფინეთი ალიანსში გაწევრიანებას გადაწყვეტს, ოლაფ შოლცმა უპასუხა, რომ ფინეთსა და ნატოს შორის თანამშრომლობა უკვე არსებობს. ფინეთის პრემიერ-მინისტრმა, სანა მარინმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა აღნიშნულ საკითხს განიხილავს. მან გერმანიასა და სხვა ქვეყნებს მოუწოდა, შეწყვიტონ ვლადიმერ პუტინის ომის დაფინანსება რუსეთიდან წიაღისეული საწვავის შესყიდვაზე უარის თქმით.

რამის გაკეთებას თუ აპირებ, ჯერ სხვას დააბრალე – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ვიქტორია ნულანდის თქმით, ასეთია კრემლის ტაქტიკა. ამიტომაც რუსეთის ბრალდებები, თითქოს ამერიკელები უკრაინაში ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობდნენ, დასავლეთს ძალიან აშინებს.

მაგრამ კრემლი ახალს არაფერს ამბობს. „სიკვდილის ლაბორატორიები“ მისი საზღვრების სიახლოვეს რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი საყვარელი თემაა. ხომ გახსოვთ, როგორ ამტკიცებდა რუსული მედია, ლუგარის ლაბორატორიაში ბიოლოგიური იარაღი იქმნებაო? უკრაინაში ომის ფონზე, იმავეს უკრაინულ ლაბორატორიებზეც წერენ.



სლავების დასახოცი ლაბორატორიები უკრაინაში

ნანლაპის ჩხირი და დიუტერია

11 მარტს რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭო მოიწვია, სადაც ქვეყნის წარმომადგენელმა დმიტრი პოლანსკიმ ისაუბრა უკრაინის ტერიტორიაზე აშშ-ის „საიდუმლო“ ლაბორატორიებში ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე. იქამდე რამდენიმე დღით ადრე, 6 მარტს, რუსმა გენერალ-მაიორმა განაცხადა, რომ „კიევის რეჟიმი სასწრაფოდ ასუფთავებდა უკრაინაში სამხედრო ბიოლოგიური პროგრამის კვალს“. პროგრამას კი აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აფინანსებდა.

ამ ბრალდებების განსამტკიცებლად, მომდევნო დღეს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ, გამოაქვეყნა საბუთი უკრაინულ ენაზე, სადაც ეწერა, რომ ლაბორატორიებში მუშაობდნენ **„შავი ჭირის, დიფტერიის, ციმბირის წყლულის, ბრუცელოზის“** და სხვა დაავადებების გამომწვევ ბაქტერიებთან.

კიევში უპასუხეს, რომ რუსეთი უბრალოდ იტყუება და მას ჰაერივით სჭირდება, გამართლება მოუძებნოს უკრაინაში შეჭრას. **„უკრაინის ტერიტორიაზე არ მოქმედებს უცხოური ბიოლოგიური ლაბორატორიები. ცალკეული პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული განცხადებები სიმართლეს არ შეესაბამება და განგებ ამახინჯებს ფაქტებს“,** – ნათქვამია უკრაინის უშიშროების საბჭოს განცხადებაში.

მაგრამ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, სერგეი ლავროვი უფრო შორს წავიდა. იგი ირწმუნება, რომ უკრაინაში მუშაობდნენ **„ეთნიკურად ორიენტირებურ ბიოლოგიურ იარაღზე“,** რომელიც შეუტევს მხოლოდ სლავურ დნმ-ს და ეფექტურია მხოლოდ სლავი ერების წინააღმდეგ.

აბსურდი და რასიზმი

ლავროვის ბრალდებებს რუსი მეცნიერების ნაწილი გამოეხმაურა ღია წერილით. მათი თქმით, სპეციალურად სლავების წინააღმდეგ შექმნილ ბიოლოგიურ იარაღზე საუბრები არა მხოლოდ აბსურდულია, არამედ რასისტულიც.

„განცხადებები „სლავური დნმ-ის“ შესახებ ბოდვაა ყველასთვის, ვისაც ახსოვს ბიოლოგიის სასკოლო კურსი. მსგავსი განცხადებები იგივეა, რაც გერმანელი ნაციონალ-სოციალისტების თეორიები და „უმაღლესი არიული რასის“ კულტი. საქმე ისაა, რომ ამაზე ბიოლოგები უკვე 150 წელია, რაც თანხმდებიან. ხალხები არ არიან უბრალოდ გენეტიკურად მსგავსი სათემოები. არც ცალკე აღებული „სლავი ხალხი“ არსებობს“, – უთხრა ტელეარხ Current Time-ს პეტიციის ერთ-ერთმა ავტორმა, ბიოლოგმა ევგენი ლევიტინმა. იგი ასევე ამბობს, რომ კრემლის მიერ გამოქვეყნებულ საბუთში არ არის საუბარი არცერთ ბაქტერიასა და ვირუსზე, რომელიც შეიძლება გამოიყენო ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად.

რა არის უკრაინის ტერიტორიაზე?

2005 წელს უკრაინის ჯანდაცვისა და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროებმა გააფორმეს ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ. საბუთის თანახმად, მხარეები გააკონტროლებენ და გამოავლენენ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სახიფათო ვირუსებსა და ბაქტერიებს, და ერთად იმუშავებენ „ბიოლოგიური საფრთხეების აღკვეთაზე“. აშშ-ის მხარდაჭერის წყალობით, ლვოვის, ხარკოვის, კიევისა და სხვა ქალაქების ლაბორატორიებში შესაძლებელია უკვე არსებული ვირუსების ახალი შტამების გამოვლენაც.

ანალოგიური შეთანხმება არსებობს აშშ-სა და საქართველოს შორისაც, რომლის ფარგლებშიც 2013 წელს რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორია გაიხსნა. მასზე რუსული სახელმწიფო მედია დიდი ხანია საუბრობს და ირწმუნება, რომ ბიოლოგიურ იარაღზე საქართველოშიც მუშაობენ.

ძველი ხრიკი

თუმცა რუსული პროპაგანდის მკვლევრები ამბობენ, რომ ბიოლოგიური იარაღის შექმნაში აშშ-ს კრემლი ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან ადანაშაულებს. „ეს მახსენებს კგბ-ს სადეზინფორმაციო კამპანია „ოპერაცია ინფექციას“, რომელიც ამტკიცებდა, რომ აივ-შიდსის ვირუსი აშშ-ის სამხედრო ლაბორატორიაში შეიქმნა“, – ამბობს მკვლევარი ენდრიუ უებერი.

NBC News-ის ციფრული კორესპონდენტი კევინ კოლერი კი ფიქრობს, რომ კრემლი ყოველთვის საგულდაგულოდ არჩევს მომენტს სადეზინფორმაციო კამპანიის დასაწყებად. მისივე თქმით,კრემლის დეზინფორმაციის ამერიკაშიც სჯერათ. კოლერი სწავლობს ინტერნეტმოძრაობა QAnon-ს, რომელიც ამტკიცებს, რომ ამერიკას სატანისტი პედოფილები მართავენ. ტრამპი საკრალური ფიგურაა მოძრაობა QAnon-ის წევრებისთვის. შეთქმულების თეორიებისადმი საყვარულის გარდა, მათ აერთიანებდათ რწმენა, რომ ბნელი ძალებისგან ამერიკას სწორედ ის გაათავისუფლებს. მაგრამ რაც პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გახდა, ეს რწმენა შეირყა. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, QAnon-ელებმა აიტაცეს ძველი (მაგრამ მათთვის ახალი) გზავნილი, რომელსაც რუსული პროპაგანდა 2015 წლიდან ავრცელებს.

„პროპაგანდა ყოველთვის უკეთ მუშაობს, როცა არსებობს ემოციური საბუთარა“, – ამბობს კოლერი.

ნულანდის ეჭვები 14 მარტს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ გაიზიარა. ბრიტანული დაზვერვა არ გამორიცხავს, რომ მალე რუსეთი თავად გამოიყენებს ბიოლოგიურ იარაღს, შემდეგ უკრაინას დაადანაშაულებს და ამით გაამართლებს ომის დაწყებას.

რუსეთი არაერთხელ დაუდანაშაულებიათ ქიმიური იარაღის გამოყენებაშიც. პენტაგონის მტკიცებით, 2013 და 2018 წლებში სირიაში ათეულობით მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობის უკან ბაშარ ასადის რეჟიმი და რუსი სამხედროები დგანან. ამასთანავე, ქიმიური იარაღი არაერთხელ გამოუყენებიათ კრემლის ოპონენტების წინააღმდეგ. სხვადასხვა ნივთიერებით მოწამლეს რუსეთის დაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსნები – ალექსანდრ ლიტვინენკო და სერგეი სკრიპალი, სულ ბოლოს კი, 2021 წლის ზამთარში, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი.

სხვათა შორის, ლუგარის ლაბორატორიის „სასიკვდილო ექსპერიმენტებზე“ რუსული მედია სწორედ 2018 წლის 4 მარტს, ბრიტანულ ქალაქ სოლსბერიში სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის გაზ „ნოვიჩოკით“ მოწამვლის შემდეგ ალაპარაკდა.

სანდრო გვინდაძე

რუსეთის უკანონო ომი ყველას გვემუქრება

დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა, საფრანგეთმა, ალბანეთმა, ირლანდიამ და ნორვეგიამ უკრაინის საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის გამართვა მოითხოვეს.

„რუსეთი ომის დანაშაულებს სჩადის და მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავს. უკრაინაში რუსეთის უკანონო ომი ჩვენ ყველას გვემუქრება“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ბაიდენმა ვლადიმერ პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა

აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა.

კითხვაზე, მზად არისა თუ არა პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდოს, აშშ-ის პრეზიდენტმა უპასუხა: მე ვფიქრობ, რომ ის სამხედრო დამნაშავეა.

რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენელი, დიმიტრი პესკოვი ჯო ბაიდენის სიტყვებს ეხმაურება, რომელმაც ვლადიმერ პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა. დიმიტრი პესკოვის თქმით, ჯო ბაიდენის კომენტარი „მიუღებელი და უპატიებელი რიტორიკაა“.

„მივიჩნევთ, რომ მიუღებელი და უპატიებელია ამგვარი რიტორიკა იმ სახელმწიფოს მეთაურისგან, რომლის ბომბებისგან მსოფლიოში ასობით ათასი ადამიანი დაიღუპა“, – განაცხადა კრემლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

სლოვაკეთის საჩუქარი უკრაინას

ტელეკომპანია „სიენენის“ ინფორმაციით, სლოვაკეთი უკრაინისთვის „ეს-300“ ტიპის საჰაერო თავდაცვითი სისტემების გადაცემას აპირებს.

მედიის ცნობით, სლოვაკეთი დათანხმდა აღნიშნული სისტემის უკრაინისთვის გადაცემას, რაც კიევს რუსული ავიადარტყმებისგან დაცვაში დაეხმარება.

„სიენენს“ ორი ანონიმური წყარო უდასტურებს, რომ სლოვაკეთს სურს, მიიღოს გარანტია, რომ „ეს-300“ ტიპის საჰაერო თავდაცვითი სისტემების უკრაინისთვის გადაცემის შემთხვევაში, ის დაუყოვნებლივ მიიღებს სხვა შეიარაღებას. როგორც ვარაუდობენ, სლოვაკეთი „ეს-300“ ტიპის საჰაერო თავდაცვითი სისტემების ნაცვლად, საზენიტო-სარაკეტო კომპლექს „პეტრიოტებს“ მიიღებს.

გერმანიამ და ნიდერლანდებმა უკვე საჯაროდ დაადასტურეს, რომ სლოვაკეთში „პეტრიოტის“ სისტემებს აგზავნის.

ყველაზე სწრაფი რაკეტები უკრაინისთვის

ბრიტანეთი უკრაინას ყველაზე სწრაფ საზენიტო-სარაკეტო კომპლექს Starstreak-ს მიაწვდის. ამის შესახებ თავდაცვის მდივანმა ბენ უოლესმა ბრიუსელში ნატოს თავდაცვის საგანგებო შეხვედრაზე განაცხადა. უოლესს არ დაუზუსტებია რა რაოდენობის იარაღზეა საუბარი.

ბრიტანული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Starstreak-ი განკუთვნილია ვერტმფრენებისა და დაბალ მანძილზე მფრინავი თვითმფრინავებისათვს. Starstreak-ი ყველაზე სწრაფ მცირე მანძილის რაკეტებად არის მიჩნეული. მას სამიზნის განადგურება 5 კმ-ის მანძილზე შეუძლია.

ჩინეთი არასდროს დაეხმარება თავს უკრაინას...

ჩინეთი არასდროს დაეხმარება თავს უკრაინას, პირიქით, დაეხმარება ეკონომიკური კუთხით, – ამის შესახებ უკრაინაში ჩინეთის ელჩმა ფანს სიანჟუნიმ განაცხადა. **„ჩვენ მზად ვართ, დაგეხმაროთ განვითარებაში. სიტუაციაში, რომელიც ახლა გაქვთ, პასუხისმგებლობით მოვიქცევით. ვნახეთ, რამდენად დიდია თქვენი ერის ერთიანობა, რაც თქვენი სიძლიერეა“,** – განაცხადა ელჩმა.

◎ გვიმრავლოს!

მხარის თვალი

ხაშურის **გრიგოლ ჯორმართიძის** **სახელობის სტადიონი 1933 წელს გაიხსნა და 1990 წელს განახლდა.**

ადგილობრივი „ივერიის“ საშინაო სარბიელი დამოუკიდებელ საქართველოში პირველი გახლდათ, სადაც ინდივიდუალური სკამები დაამონტაჟეს და მისი ტევადობა 10 000 იყო...

და აი, იავარქმნილი არენის რეკონსტრუქციის დასრულებას ბევრი აღარაფერი უკლია, რასაც მშენებარე კომპანია „გლობალ სტანდარტმშენის“ დირექტორი **დავით ნოზაძე** საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველ არხთან“ საუბრისას ადასტურებს.

„ვფიქრობ, 2 100 მაყურებელზე გათვლილი სტადიონი მოწონებას დაიმსახურებს. დღე-დღეზე მთავრდება ტექნიკური საკითხების მოგვარება, რაც პანდემიის გამო გაჭიანურდა. უკვე მზადაა გასახდელები, საშხაპეები, სამსაჯო და საექიმო ოთახები, ხოლო მოედნის კეთილმოწყობა, დაგება და ტრიბუნების მშენებლობა 3 თვის წინათ დავამთავრეთ.

შედარებით გაგვეწელა ადმინისტრაციული ნაგებობის ვენტილაციისა და გათბობის სისტემების დამონტაჟება, მაგრამ ესეც მოვრჩით.

ტრადიციისამებრ, პროექტი ფეხბურთის ფედერაციის, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითა და ერთობლივი ძალებით ხორციელდება და იგი, ზემოთ დასახელებული სამუშაოების გარდა, განათების სისტემის, ავტოსადგომის, გამწვანების ზოლისა და საფეხმავლო ბილიკის მოწყობას ითვალისწინებს.

და მთავარი: მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების ქალაქის მოსახლეობას, განსაკუთრებით — ბავშვებს ამიერიდან დამატებითი მოტივაცია უნდა გაუჩნდეთ ფეხბურთში ჩასართავად, ეს კი ხელს შეუწყობს რეგიონში სპორტის საკულტო სახეობის პოპულარიზაციას. სწორედ ეს გახლავთ აღნიშნული პროექტის ძირითადი დანიშნულება.

მოკლედ, მარტის ბოლოს ხაშურის ახალ სტადიონს ფეხბურთის ფედერაცია და იქაური მუნიციპალიტეტი გახსნიან“.

◎ კორტზე

ათასეულის ზღურბლთან

20 წლის საბა ფურცელაძე რეიტინგის 1062-ე ჩოგანია, მაგრამ პოპულარულ ეგვიპტურ კურორტ შარმ ელ შეიხის 15 000-იანი საერთაშორისო ტურნირის მოგების შემდეგ აუცილებლად დაწინაურდება.

იქაურ კორტზე გამართულ ხუთ შეხვედრაში ჩვენმა თანამემამულემ მხოლოდ ორი პარტია დათმო და ღირსეულად მოიპოვა მთავარი პრიზი: მაქსიმუს ჯონსთან (ტაილანდი) — 6:4, 6:3; მე-7 ნომრად განთესილ სერგეი ფომინთან (უზბეკეთი) — 6:1, 3:6, 6:1; მეოთხე ნომერ სამუელ ვისენტ რაჯერისთან (იტალია) — 6:2, 6:2; მეხუთე ნომერ ჯოვანი ორადინისთან (იტალია) — 6:4, 0:6, 7:6 და ფინალში მსოფლიო კლასიფიკაციის 827- ჩოგანთან და აფრიკაში მერვე ნომრად განთესილ უისანგ პარკთან (კორეა) — 6:4, 6:4. **იქვე ორი გამარჯვების შემდეგ მეოთხედფინალური ბრძოლა დათმო ალექსანდრე მეტრეველმა.**

◎ რატომაც არა?..

ცდა ბედის მონახევრეა

კალათბურთი, წყალბურთი, ფუტსალი — ეს ის სახეობებია, ნატურალიზებულ სპორტსმენებს უკვე ათწლეულებია, ღირსეული წვლილი რომ შეაქვთ „ჯვაროსანთა“ ბოლოდროინდელ წარმატებებში.

ჰოდა, იქნებ მსგავსი ნაბიჯი ფეხბურთშიც გადაგვედგა, მით უმეტეს მაშინ, როცა „ბათუმის“ ბრაზილიელი ლიდერის **ჯოვინო ფლამარიონის** სახით ქართული პასპორტისა და დიდი დოზით — ჩვენი მენტალიტეტის მქონე ძლიერ თავდამსხმელზე ვსაუბრობთ.

დიახ, ტრავმების ეპიდემიის ფონზე საქართველოს ნაკრებში საკადრო რესურსებისა და კონკურენციის გაზრდამ არა გვგონია გუნდის შედეგებზე უარყოფითად იმოქმედოს. რაც შეეხება გულშემატკივართა ნაწილისთვის აღნიშნული თემის პიკანტურობას, მოდით, ნუ ვიქნებით რომის პაპზე უფრო კათოლიკეები და გავითვალისწინოთ, რამდენი ჩვენზე ძლიერი „დერჟავა“ არ თაკილობს ასეთ რისკზე წასვლას. დიახ, რისკზე, რადგან სავარაუდო რჩეული აპრიორი ძლიერი ფეხბურთელი უნდა იყოს!

რაც შეეხება ჯოვინოს ღირსებებს, მას, როგორც უნივერსალურ ფორვარდს, თანაბარი წარმატებით შეუძლია როგორც ვითარების მეტოქის საჯარიმოში გამწვავება და პარტნიორთა იერიშის ზუსტი დარტყმით დაგვირგინება, ისე ბურთის მისაღებად უკან ჩასვლა, მისი განაწილება და პასის კულტურაც გააჩნია. **და ბოლოს: ფლამარიონს ქართველი მეუღლე ჰყავს და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენთან ხანგრძლივი თამაშის შემდეგ უკვე ნახევრად ქართველია!**

◎ მწარე სიმართლე

მამაც, შვილიც...

ლეგენდარული ლიეტუველი კალათბურთელი **არვიდას საბონისი** „უფროსი ძმებისადმი“ სიყვარულით არც საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში კაუნასის „ჟალგირისის“ მაისურით თამაშისას გამოირჩეოდა, მაგრამ ახლა, როცა რუსეთი უკრაინაში ქვას ქვაზე არ ტოვებს, მისი სუსხიანი განცხადებები ზოგს შეიძლება გადაჭარბებულადაც კი მოეჩვენოს:

„მე არ მაქვს კავშირი რუსებთან. ცხოვრებაში აღარასოდეს უნდა დავუჯერო ამ მატყუარებს. მშვიდობის მტრედები, მშვიდობის ქვეყანა... აქ არის მშვიდობა? ბომბავენ ბავშვებსა და თავისუფალ ადამიანებს. სიტყვები არ მყოფნის. ამიტომაც რუსეთთან ურთიერთობის მცირედი სურვილიც აღარ გამაჩნია.

სტატისტიკა აჩვენებს, რომ რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის 70 პროცენტი ომის მომხრეა. იმედია, ეს გაბერილი რიცხვია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩემი სიტყვები ბევრს არაფერს შეცვლის. მთელი არსი იმაშია, რომ რუსებმა მთელ მსოფლიოს დაანახეს: მათი არც ერთი სიტყვის დაჯერება არ შეიძლება.

რაც შეეხება რუსული კლუბების მოკვეთას ევროლიგიდან, მწამს, რომ ეს სანქცია მათ დაიმსახურეს და რთული სათქმელია, როდის შეძლებენ იქ დაბრუნებას.

ბუნებრივია, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ შეძლებენ მომავალში ერთად ასპარეზობას ან ვარჯიშს უკრაინელები და რუსები. დამეთანხმებით, ამ ეტაპზე რთულია მსგავსი სცენარის პროგნოზირება, რადგან დღეს სლავები სლავებს კლავენ. უფრო მეტიც, ორი სლავური სახელმწიფო ერთს უტევს. დიახ, ეს სისასტიკეა, რადგან ძმა ძმას კლავს. ომის შემდეგ ურთიერთობების აღდგენას, შესაძლოა, 50 წელი დასჭირდეს, მაგრამ წყენა ნამდვილად დარჩება“.

მამის სულისკვეთებას სრულად იზიარებს გოგა ბითაძის ყოფილი პარტნიორი და კონკურენტი, „ინდიანა პეისერზიდან“ „საკრამენტო კინგზში“ ნბა-ს რეგულარული სეზონის დროს გადასული **დომანტას საბონისი:**

„ყველა შიშობს, რომ თუ ვლადიმერ პუტინი უკრაინის ოკუპაციას მოახერხებს, ის საბჭოთა კავშირის აღდგენას შეეცდება, რაც მესამე მსოფლიო ომს გამოიწვევს. შესაძლოა ამერიკაში ეს ხუმრობად მიაჩნიათ, ვინაიდან ბევრი ვერ აცნობიერებს, რამდენი რამ დევს სასწორზე. ლიეტუვა ნატოს ალიანსში შედის და თუ მის ერთ წევრს დაესხმებიან თავს, ყველა დანარჩენი პარტნიორი სახელმწიფო ჩაებმება ომში...

...კონკრეტულად უკრაინას ყველა ეხმარება. მაგალითად, რუსული აგრესიის საწყის 10 დღეში ლიეტუველებმა მათ 10 მილიონი დოლარი შეევეროვეთ, ხალხი კი საკვებს უგზავნის და ჩამოსულ ბავშვთა სწავლა-განათლებას უზრუნველყოფს“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ კოლეგასა და მეგობარს, „ლელოს“ მხატვრულ რედაქტორს ვაჟა სიმონიშვილს გარდაეცვალა და

ნათია სიმონიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ჩემპიონთა ლიგა

ერიდეთ სტუმართა თავებს!

რამდენიმე დღის წინათ საფეხბურთო სამყარო ააფეთქა ინგლისის პრემიერლიგაში მომხდარმა ფაქტმა — კრისტიანუ რონალდუმ „ტოტენჰემთან“ შინ მოგებულ (3:2) შეხვედრაში ჰეთ-თრიქი შეასრულა და, სანაკრებოს მსგავსად, მსოფლიოს რეკორდსმენი საკლუბო დონეზეც გახდაო — 807 ბურთი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საფიქრებელი იყო, რომ პორტუგალიელი მეგავარსკვლავი „მანჩესტერს“ მისთვის ასევე გოლების ფაბრიკად ქცეულ ჩემპიონთა ლიგაშიც დაეხმარებოდა მეოთხედფინალში გასასვლელად, მით უმეტეს მადრიდის „ატლეტიკოსთან“, რომელიც აქამდე გამართულ 46 შეხვედრაში 35-ჯერ ჰყავდა გამწარებული.



მაგრამ ერთია კარიერის ზოგადი მაჩვენებელი და მეორე — კონკრეტული მატჩი. აი, ამ მხრივ „მანკუნიანელებსა“ და მათ ლიდერს კიდევ ერთხელ მოეცარათ ხელი (ანუ ფეხი) — პირველ რაუნდში სტუმრად მიღწეული სამადლო ფრე — 1:1 „ოლდ ტრაფორდზე“ სამარცხვინო 0:1-ით „დაგვირგვინდა“ და რალფ რანგნიკის გუნდი ტურნირს გამოეთიშა.

სიმბოლურია, რომ ესპანელთაგან თავი, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, მეორე სართულიდან **ლოდიმ** გამოიჩინა და მასპინძელთა განსასვენებელი დიდი ქვით „დაამშვენა“.

ასევე პროგნოზების საპირისპიროდ განვითარდა მოვლენები ამსტერდამის „იოჰან კრუიფ არენაზე“, სადაც სეზონის გმირი „აიაქსი“ არასტაბილურად მოთამაშე „ბენფიკამ“ დააჩოქა — 1:0 (პირველი მატჩი — 2:2).

სხვათა შორის, ნიდერლანდური ბრძოლის ბედიც **ნუნიესმა** ზუსტი თავური დარტყმით გადაწყვიტა.

ბევრს ეგონა, რომ სერია — ა-ში 15-მატჩიანი წაუგებელი სერიის შემდეგ „იუვენტუსი“ მასპინძლებს ნამუსს მოწმენდდა, მაგრამ უნაიემერის დამოძღვრილმა „ვილიარეალმა“ „ბებერი ქალბატონი“ შესვენების შემდეგ ცხარე ცრემლებით ატირა — 3:0 (პირველი შეხვედრა — 1:1).

„ლილი“ - „ჩელსი“ 1:2 (0:2).

ასე რომ, დღეს მეოთხედფინალისტთა წილისყრაში შემდეგი კლუბებია წარმოდგენილი: **„რეალი“, „ატლეტიკო“, „ვილიარეალი“, „სიტი“, „ლივერპული“, „ჩელსი“, „ბაიერნი“ და „ბენფიკა“.**

საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი ჩვეულ სამუშაო რეჟიმს დაუბრუნდა

ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, რომელიც კოვიდ-პაციენტების მართვაში სრულად იყო ჩართული, 15 მარტიდან ჩვეულ სამუშაო რეჟიმს დაუბრუნდა. ამიერიდან, ჰოსპიტალში მრავალპროფილური სერვისების მიღება, მათ შორის პედიატრიული, სამეანო-გინეკოლოგიური და ნეონატალური მიმართულებებით, კვლავ სრული დატვირთვით არის შესაძლებელი. ასევე, 24-საათიან რეჟიმში განახლდა მულტიპროფილური გეგმიური თუ ურგენტული სერვისების მიწოდება.

მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დაწესებულება კოვიდ-კლინიკის სტატუსით 18 თვის განმავლობაში მუშაობდა. კოვიდ-პაციენტებისთვის ხელმისაწვდომი იყო სრული სამედიცინო სერვისი. მათ შორის, ინფიცირებული ქალებისთვის 24-საათიან რეჟიმში მუშაობდა მესამე დონის სამშობიარო სამსახური, რაც სრულყოფილ პერინატალურ დახმარებას ითვალისწინებდა. ექიმების გუნდის ერთობლივი ძალისხმევის შედეგად ჰოსპიტალში კოვიდ 19 წარმატებით იმართა: კორონავირუსი 7 000-მდე კოვიდ-პაციენტმა დაამარცხა. ივ. ბოკერიას სახელობის ჰოსპიტალი ევექსის ქსელში შემავალი მძლავრი და მულტიპროფილური სამედიცინო დაწესებულებაა, რომელიც პაციენტებს გეგმიურ და გადაუდებელ სერვისებს 24-საათიან რეჟიმში სთავაზობს. კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური, დასავლური გამოცდილების მქონე სპეციალისტებით და აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აპარატურით, რაც დადებით გამოსავალს ზრდის და პაციენტების ჯანმრთელობას უზრუნველყოფს.

ამერიკის ბაზარი ქართულ ღვინოს ელოდება

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუიორკში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა „Vinexpo America“ გაიმართა. გამოფენაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი 23 კომპანია მონაწილეობდა.

„გამოფენის ფარგლებში გაიმართა ძალიან საინტერესო შეხვედრები და მოლაპარაკებები, სადაც ამერიკის შეერთებული შტატებში ქართული ღვინის პოპულარიზაციის და რეალიზაციის ხელშეწყობის საკითხები განვიხილეთ. აშშ მსოფლიოში ღვინის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორია და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ბაზარზე დამკვიდრება. 2022 წელს, ძალიან ბევრი აქტივობა გვაქვს დაგეგმილი აშშ-ში, მათ შორის, დეგუსტაციები, საგანმანათლებლო სემინარები, მედიაკამპანიები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართული ღვინის საექსპორტო ფასი აშშ-ს ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია“, — აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ.

საერთაშორისო გამოფენა „Vinexpo America“ ფარგლებში, ქართველმა ღვინის მწარმოებლებმა შეხვედრები გამართეს იმპორტიორებთან, სომელიეებთან და სავაჭრო ქსელების წარმომადგენლებთან. ეს იყო ქართული ღვინის ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო წარდგენა COVID-19-ის პანდემიის დაწყების შემდეგ. ამერიკელი სომელიე, ჯადი გილდინი, აცხადებს, რომ როდესაც ამერიკელები ისმენენ ქართული ღვინის 8000-წლიან ისტორიას, მათ დაგემოვნების სურვილი უჩნდებათ.

„ყველა კარგად იცნობს ფრანგულ, იტალიურ და ამერიკულ ღვინოებს. მომხმარებელს უნდა რაღაც ახლის და განსხვავებულის დაგემოვნება, რაღაც ისეთის, როგორიც აქამდე ჯერ არ გაუსინჯავთ, ისინი მზად არიან სიახლისთვის. სწორედ ასეთია ქართული ღვინო; ვფიქრობ, მას სულ უფრო მეტი ადამიანი გაიცნობს უახლოეს მომავალში“, — აღნიშნა ჯადი გილდინმა.

ნარკო-რეალიზატორები ჭკუას ვერ სწავლობენ...

მარნეულში დააკავეს 4 ნარკორეალიზატორი: 1964 წელს დაბადებული რ.ჩ და წარსულში ნასამართლევები — 1957 წელს დაბადებული ჯ.ნ, 1995 წელს დაბადებული გ.ნ. და 1977 წელს დაბადებული ა.ბ., — ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციას ახდენდნენ. დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. „სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა. პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკები. ბრალდებულების პირადი ჩხრეკის შედეგად, ასევე, ამოღებულია „ჰეროინის“, „კოდეინის“ და „მორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალებები.

გრძელდება კალმახის ქვირითით დათევზიანება

ველური ბუნებისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს სპეციალისტებმა, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე, მდინარე ბაისუბნის ხეობა 60 000-მდე კალმახის ქვირითით დაათევზიანეს. ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მდინარის კალმახის ინკუბირებული ქვირითისა და ლარვის ველურ ბუნებაში გაშვება არის მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს, ადამიანის მინიმალური ჩარევით, მოწყვლადი სახეობის მომრავლებას და მაქსიმალურად ზრდის ბუნებრივად გამოჩეკის პროცენტს. ქვირითი ნაყოფიერდება ხელოვნურად, გამოჩეკამდე მდინარის ინკუბატორში თავსდება და წყლის მდორე უბეებში ეწყობა.

სააგენტოს საშენში, ყოველწლიურად, ნახევარი მილიონი მდინარის კალმახის სხვადასხვა აუზის პოპულაციის ლიფსიტის წარმოება და მდინარეების დათევზიანება ხდება საქართველოს წითელი ნუსხის სახეობის აღდგენის მიზნით. **ველური ბუნების სააგენტოს სპეციალისტებმა წელს, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჯამში, 10 მდინარე 300 000-მდე ქვირითით დათევზიანდა.**

განცხადება

სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ იწვევს თავის აქციონერებს საერთო კრებაზე, რომელიც შედგება 2022 წლის 20 აპრილს, 12 საათზე, საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 57-ა.

დღის წესრიგი:

1. სს „თბილქალაქმშენის“ მიერ 2021 წელს გაწეული სამეწარმეო საქმიანობის შედეგების განხილვა;
2. სხვადასხვა.

სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2022 წლის 18 აპრილი

სამეთვალყურეო საბჭო

სანთელი



გურამ გუნავა ოჯახით დიდი გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქვეყნისთვის ფრიად საჭირო დიდებული ადამიანი

გიორგი ბაგრატის ძე ნაჭყებია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაზუსტება

ჩვენი რედაქცია ბოდიშს უხდის ჩვენთვის ძვირფას ბატონ გურამ გუნავას, ცნობილ სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს იმის გამო, რომ სამშაბათს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ გიორგი ნაჭყებიას სამგლოვიარო განცხადებაში, მრავალრიცხოვან ხელმომწერთა შორის გამორჩენილია მისი გვარი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლიერება გამოვხატოთ ყველა ორგანიზაციის და დაწესებულების, ყველა პიროვნების, მეგობრების, ახლობლების მიმართ თანადგომისთვის, ვინც გაიზიარა ჩვენი ოჯახის დიდი მწუხარება ჩვენთვის უძვირფასესი ადამიანის გიორგი (ჟორა) ნაჭყებიას გარდაცვალების გამო.

არდავიწყება



გურამ ჯავახაძე

ქართველ ენერგეტიკოსთა რიგებს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი ენერგეტიკოსი, ბრწყინვალე ადამიანი გამოაკლდა.

გურამ ჯავახაძე დაიბადა 1938 წლის 15 ნოემბერს 1961 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ენერგეტიკოსად. 1963 წელს მუშაობდა ქ. თბილისში მძიმე მრეწველობის საკავშირო საპროექტო ინსტიტუტში პროექტანტად, 1964-1965 წლებში ამიერკავკასიის ენერგო გაწყობისა და გაშვების სამმართველოში. ამ პერიოდში მონაწილეობდა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის პირველი მძლავრი 16 მეგ მეტალის გამოსადნობი ინდუქციური ღუმელების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგლოფაბრიკისა და ბლუმინგის ენერგეტიკის დანადგარების, აზერბაიჯანში წევის ქვესადგურების გაწყობასა და გაშვებაში. 1965-2002 წლებში მუშაობდა „საქენერგოში“ სხვა და სხვა თანამდებობებზე. იყო საწარმო „ელექტრო გაწყობის“ მთ. ინჟინერი, დირექტორი; 1986-1999 წლებში. „ენერგოზედამხედველობის“ მთ. ინჟინერი, დირეტორი. 1996 წელს „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილე რეალიზაციისა და ზედამხედველობის საკითხებში. 1999-2002 წლებში. სს „ელექტროგადაცემის“ გენერალური დირექტორი.

ენერგოსისტემაში მუშაობის პერიოდში მონაწილეობა მიიღო ენერგოსისტემის ფაქტიურად ყველა ობიექტის გაწყობა-გაშვებაში, როგორც უშუალო შემსრულებელმა და საინჟინრო ჯგუფის ხელმძღვანელმა. 2000 წელს აქტიურად იყო ჩართული ენერგეტიკული საბითუმო ბაზრის შექმნასა და ამოქმედებაში. 2000 წელს იყო საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე.

ამ ჩამონათვალიდან მკაფიოდ ჩანს გურამ ჯავახაძის მაღალი პროფესიონალიზმი და დარგისადმი უანგარო სამსახური.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ამ ძვირფას ადამიანს და ბრწყინვალე მამულიშვილს.

საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი;

საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი;

საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაცია

„მადონა ყრმით“ ხელოვნების სასახლეში დამკვიდრდა!

საქართველოში დაცული ტილო ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწესა და მეცენატს დავით სარაჯიშვილს პარიზში აუქციონზე დიდ ფასად შეუძენია.

„ეს არის მსოფლიოში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტილო, რომლის ავტორი გენიალური ესპანელი მხატვარი ბართოლომეო ესტებან მურილიოა (1617-1682), ნახატზე „მადონა ყრმითაა“ ასახული, ტილოს ორიგინალი კი რომში პალაცო ბარბერინიში — გალერეა კორსინიში ინახება. ხელოვნების სასახლეში დაცული ნამუშევარი ორიგინალის მიხედვით XIX საუკუნეში შეიქმნა, ასეთივე ნახატი დაცულია მსოფლიოში სახელგანთქმულ ვიქტორია და ალბერტის მუზეუმში (მარცხენა ფოტოზე), ის თავის დროზე გალერეა ბორგეზის კუთვნილება იყო. თბილისში ჩამოტანის შემდეგ ნახატი სარაჯიშვილს მარიამისთვის უჩუქნია. მარიამი დავით ერისთავის მეუღლე იყო და ტილომ ასე დაიმკვიდრა ადგილი ერისთავების ოჯახში. ბოლოს ეს შესანიშნავი ნამუშევარი თქვენმა მონა-მორჩილმა დავით ერისთავის შთამომავლის ქალბატონი მანანა ერისთავის ოჯახში ვნახე, აწ განსვენებული ქალბატონი დიდად ყვარობდა ამ ტილოს და მასთან საუკეთესო მოგონებები აკავშირებდა. ქალბატონი მანანას გარდაცვალების შემდეგ საუცხოო ნამუშევრის უცხოეთში გატანის საკითხი არაერთხელ დადგა, თუმცა კულტურის სამინისტროს თანადგომამ და მინისტრის ინიციატივით შექმნილმა „სამუზეუმო კოლექციების შევსების“ სახელმწიფო პროგრამამ ნივთი საზღვარგარეთ გასხვისებისაგან იხსნა და მან საბოლოო ადგილი ხელოვნების სასახლეში დაიმკვიდრა.

ნახატი სულ მალე, კერძოდ კი მიმდინარე წლის 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღეს დამთვალიერებლისათვის პირველად გამოიფინება, — წერს გიორგი კალანდია.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932
ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს შევახსენებთ, რომ გაზეთს აქვს განახლებული ვებ-გვერდი www.sakresp.ge

თქვენ საშუალება გეძლევათ, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილში გაეცნოთ გაზეთის ახალ ნომრებს, გამოიწეროთ იგი ელექტრონულად, განათავსოთ თქვენთვის სასურველი რეკლამა და სარეკლამო ბანერი.

გაზეთის სარეკლამო სივრცე გელით ყველას!

იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, გაიძლიერეთ სიცოცხლის რწმენა და იმედი!

103 წლის ყველაზე ქართული გაზეთი თქვენ გვერდითაა!

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ი. ჭორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

დიდმარხვის მეორე შვიდეული

19 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს მიცვალებულთა დღეს. მოიხსენიებენ სხვადასხვა დროს — ავადმყოფობით, პანდემიით, უპატრონოდ და ომებში დაღუპული ქრისტიანი გარდაცვლილები, სრულდება დიდი პანაშვდი.

გრიგოლ პალამას ხსენების დღე

20 მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს უდიდესი ღვთისმეტყველის, ქრისტიანული ანთროპოლოგიის სფეროს ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეს, გრიგოლ პალამას.

მან 20 წლის ასაკში დაიწყო მოღვაწეობა ვატოპედის მონასტერში. გრიგოლ პალამას მოღვაწეობა ისეთი წმინდანების რანგში გადის, როგორიცაა წმინდა ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი, ათანასე დიდი და სხვა სწავლულები. იგი 1332 წლიდან მდუმარე მლოცველი გახდა. გრიგოლ პალამას დიდი ღვაწლი მიუძღვის ყველასათვის წმინდა და სილამაზით განთქმული ათონის მთის კეთილმოწყობაში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „დიდმარხვას ძალიან ხშირად ჩვენ ვუწოდებთ მარხვას სინანულისას, როცა ადამიანი უკეთესად ხედავს თავის სულს, თავის ნაკლს. ეს მარხვა მოგვიწოდებს იმისკენ, რომ დავინახოთ ცოდვა ჩვენი და არ განვიკითხოთ ძმა ჩვენი“.

გიული ლიპარტია

დაბომბა მარიუპოლის თეატრი

რუსეთის საოკუპაციო ძალებმა მარიუპოლის თეატრი დაბომბეს, რომელსაც მშვიდობიანი მოქალაქეები, მათ შორის ბავშვები აფარებდნენ თავს, — ინფორმაციას ამის შესახებ BBC-ი ქალაქ მარიუპოლის მერის მოადგილეზე სერგეი ორლოვზე დაყრდნობით ავრცელებს.

თვითმფრინავმა ბომბი ჩამოაგდო თეატრის შენობაზე, სადაც მარიუპოლის ასობით მშვიდობიანი მოქალაქე იმალებოდა. მარიუპოლის მერის მოადგილემ აღნიშნა, რომ რუსებმა თეატრის მიმართულებით საჰაერო შეტევა გამიზნულად და ცინიკურად მიიტანეს. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე უცნობია.

Satellite image of Mariupol theatre, 14 March



გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 21 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2274; ევრო - 3.5485;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2150;
100 რუბლი - 3.2069; თურქული ლირა - 0.2197;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9023;
1000 სომხური დრამი - 6.5590.

ამინდი 18 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -6, დღე +5
მთიანი რაიონები - ღამე -9, დღე +3
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -2, დღე +6
მთიანი რაიონები - ღამე -8, დღე +3
თბილისი: ღამე -2, დღე +4

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge